ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე".
>
> აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 49 - 50 ნიუ-იორკი. მაისი—ივნისი 1962 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, MAY—JUNE 1962

ნიუ-იორკი. მაისი—ივნისი, 1962 წ.

26 მაისი საქართველოს ეროვნული დღესასწაული, მისი დამოუკიდებლობის დღეა.

26 მაისი საქართველოს ეროვნულ-ისტორიული ტრადიციის განახლების თარიღია.

26 მაისი ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლის ლოღიკური და სამართლიანი დაბოლოვებაა.

1918 წლის 26 მაისს, უპირველეს ყოვლისა საქართველომ იპოვა თავისი ეროვნული პიროვნება; დაიბრუნა რუსეთის მიერ მიტაცებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივობა და თავის უფალი შეიქმნა. ამას თან მოჰყვა მთელი კულტურული კაცობრიობის მიერ მისი სახელმწიფოებრივობის აღდგენის ცნობა და დამოუკიდებელ ერთა ოჯახში მისი აღიარება.

მეორეს მხრივ 26 მაისი ქართველი ერის ეროვნული სიბრძნისა და სიმწიფის საუკეთესო დოკუმენტია. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მთელ რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე გაბატონებულ ქაოსში საქართველო ერთად-ერთი იყო, რომელმაც მოასწრო სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბება და მთელი ქართველი ერის საქვეყნო აღმშენებლობაში ჩაბმა და უცხო ქვეყნებთანაც ნორმალური აღებ-მიცემობის დამყარება.

უდღეური და სიცოცხლის უნარნაკლულია ერი, რომელსაც არ აღმოაჩნდება სახელმწიფო მმართველობის სიბრძნე, მარადიულია და უკვდავი ერი, რომელსაც სახელმწიფოებრივი მმართველობის და მშენებლობის სიბრძნე აქვს. მარადიული და უკვდავია მაშინაც კი, როდესაც მის თვითმყოფობას უცხო, უხეში ძალა შესწყვეტავს.

1921 წლის თებერვალში რუსეთი ხელმეორეთ შემოესია საქართველოს; ხელმეორეთ მოგვისპო ეროვნულ დამოუკიდებელი ცხოვრება და ხელმეორეთ გვაქცია თავისი იმპერიის ნაწილად. მას გადმოღმა წარმოეული [illegible] მჭერმეტყველურად [illegible]. რომ ქართველი ერი რუს დამპყრობელს არ შერიგებია და მისი ბატონობა არ უცვნია.

რუსეთი და მათი ქართველი აგენტები დაუყონებლივ შეუდგნენ დაპყრობის ფაქტის შემსუბუქებას. მათი განცხადებით რუსეთის წითელი არმია დაეხმარა „ქართველ მუშასა და გლეხს", მოიშორეს „მენშევიკური მთავრობა" და იქ „ქართველი მუშისა და გლეხისათვის საამური ბოლშევიკური რეჟიმი დაამყარეს". ამით რუსეთი და მათი ქართველი აგენტები ცდილობდნენ ქვეყნის დაპყრობის ფაქტი დაეჩრდილათ, დაემდაბლებინათ და ის მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის ატეხილი დავის საგნათ გადაექციათ.

უტყუარი ისტორია კი მოგვითხრობს, რომ „მენშევიკური მთავრობა" დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იყო. მთავრობა საყოველთაო დემოკრატიული პრინციპების უაღრესი დაცვით არჩეული. თუ ზოგიერთების აზრით ამაში ქართველი ერი შესცდა, ეს ქართველი ერის უფლებაა და „ზოგიერთები" ხალხის ამ უფლების უზურპაციას უხეში ძალის გარეშე ვერ მოახერხებენ. ასე მოიქცნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც თავისუფალ არჩევნებში ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს და რუსის ხიშტებზე დააშენეს საკუთარი სურვილების გაბატონება. ამას ქართველმა ხალხმა მოღალატის მძიმე დაღი დაასვა და შემდეგ პარტიული ინტრიგების მსხვერპლად ქცეულების სისხლმაც ვერ წაშალა მათი მოღალატეობრივი დანაშაული.

მენშევიზმის სიძულვილით, ან მათთან იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა გამო 26 მაისის იდეის უარყოფა და საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის პერიოდის გაბიაბრუება მხოლოდ საქართველოს მტრების ინტერესებში შედის და მისი დღევანდელი მპყრობელის წისქვილზე წყლის დასხმაა.

ქართველ ერს არც წარსულში უწარმოებია რეჟიმისათვის ბრძოლა და არც დღესა აქვს ამის სურვილი. ჩვენი ბრძოლის პირველი და გადაუდებელი მიზანი საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობის აღდგენაა. ამას ემსხვერპლა ჩვენი ერის სასიცოცხლო და შემომქმედი თაობები. ამისათვის შეუდრეკლად იბრძვის ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ბოლშევიზმი რუსეთის შინაგანი ვითარების გამოსახულებაა, რომელიც არა რუს ერებში (და კერძოთ საქართველოში) რუსის ხიშტით დამყარდა და ის არის მისი შემნახველი და მასაზრდოვებელი. მოაშორეთ საქართველოს რუსის ხიშტი—და მასთან ერთად უმტკივნეულოდ გაქრება მის მიერ მოტანილი რეჟიმი, რომელსაც არაფერი აერთებს არც ქართულ ტრადიციებთან, არც ქართველი ერის სულიერ-ფსიქოლოგიურ მისწრაფებებთან.

ბოლშევიზმი უცხოა საქართველოსათვის და საქართველო მისთვის.

ამიტომ 26 მაისი არ არის ჩვენთვის მხოლოდ ტკბილად მოსაგონარი დატა, რომელიც წელიწადში ერთხელ უცხოეთში გაბნეულ ქართველებს თავს უყრის და მათ საქართველოს განვლილ დიდებას აგონებს.

26 მაისი ღრმა შინაარსის იდეოლოგიაა, რომელშიც შერწყმულია საქართველოს მრავალ საუკუნოვანი ბრძოლის და შემოქმედების მაღალი ნიმუშების ტრადიცია და განახლებული საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა.

26 მაისის დროშის ქვეშ ილვწოდა ქართული სახელმწიფოებრივობის განსამტკიცებლად, რუს ბოლშევიკების მიერ „მენშევიკების" მთავრობად აღიარებული მთავრობა. 26 მაისის დროშის ქვეშ ილვწოდა ქართული ეროვნული ფესვების განსამაგრებლად იმ მიმართულების წარმომადგენლები და მეთაურობა, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა მენშევიზმთან, გარდა იმისა, რომ ის იმ ჟამად ქართველი ერის მთავრობა იყო. 26 მაისის დროშის ქვეშ თანაბარი ენტუზიაზმით მიჰქონდათ სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე რიგითი მენშევიკებს და მათ ლიდერებს, ნეტარხსენებულ ამბროსის და ქართული ხმალისა დამკლავის ბრწყინვალე გაელვების სიმბოლო ქაქუცას; ქართული სიდარბაისლის და სიბრძნის მაღალ გამოსახულებას კოტე აფხაზს და მის სახელოვან გუნდს და ქართველი ერის ყოველი ფენის და ჯგუფის საუკეთესო წარმომადგენლებს.

44 წლის განმავლობაში მონგოლური მრისხანებით ჟლეტავს რუსეთი ქართველ ხალხს, მაგრამ 26 მაისის იდეა ვერ მოკლა, ვერ დაატუსაღა და საკონცენტრაციო ბანაკში ვერ ჩაამწყვდია. ის კვლავ ცოცხლობს ქართველი ერის გულში და მას კვებავს და ასაზრდოვებს საქართველოს ახალ-ახალი თაობები. ამის საუკეთესო დოკუმენტია 1956 წელში თბილისის აჯანყება და იმავე წლის მაისში საქართველოს ყოველ ქალაქსა და დაბაში დაყრილი პროკლამაციები, სადაც მოთხოვნილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსის ჯარის გაყვანა.

როგორც ვხედავთ რუსული კომუნიზმის მრისხანებამ ვერ ჩაკლა ქართველი ერის თავისუფლებისადმი ლტოლვა.

ეს გარემოება სამშობლოს მოწყვეტილ და თავისუფალ მსოფლიოში გაბნეულ ქართველებსაც განსაკუთრებულ ვალდებულებებს აკისრებს. ჩვენ ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ 26 მაისი არ არის უკან ხედვის და წარსულის სიამაყის ნაშტი. 26 მაისის იდეა მომავლის მიზანია, ქართველების შემკრებლობითი ჯადოსნური ძალით შუქმოსილი. ამიტომ 26 მაისის დღესასწაულის შეკრებულებას უნდა ყველგან მიეცეს ბრძოლის პრაქტიკული ღონისძიებების გამოძებნის ხასიათი. კიდევ მეტი: ყოველი ქართველი 26 მაისის იდეას უნდა უფარდებდეს თავისი ყოველდღიური ცხოვრების საქმიანობას და აქედან უნდა გამომდინარეობდეს ყოველი ჩვენთაგანის კერძო თუ საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ყოველი ცალკეული ქართველის, თუ მთლიანად ქართული ემიგრაციის ყოველდღიური ზრუნვისა და მოქმედების საგანი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მპყრობელებთან ბრძოლა და მასთან შეურიგებლობის სულისკვეთების განმტკიცება. ეს არის 26 მაისის იდეის გამარჯვების წინდაწინი პირობა და ამ გზას ვერ ასცდება, ვერ გადაუხვევს ვერც ერთი ქართველი მამულიშვილი.

უძლეველია ერი, რომლის შვილებსაც ეროვნული თავისუფლების იდეა უნათებს წინ სავალ გზას; უკვდავია ის შვილი, რომლის ყოველდღიური მოქმედება ამ მაღალი იდეიდან წარმომდინარეობს.

„ჩვენ წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდ სულობა".

ვ. სანგულია.

26 მაისის დღესასწაულის გამო სა-თვისტომოს გამგეობის მიერ მიღებული დეპეშები.

ძვირფასო დოკ. ზალდასტანო!

ეს თქვენი წერილის პასუხია, რომლითაც მაისის -3-ს მიმართედ მინისტრს, რათა მას გამოეგზავნა თავისი მილოცვა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, რომელსაც ზეიმობთ მაისის 27-ს 1962 წელს, სასტუმრო რუზველტში.

ვწუხვარ, რომ მინისტრს უდროობა ნებას არ აძლევს დააკმაყოფილოს ყველა ორგანიზაციების თხოვნა და პირადათ მიულოცოს.

მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი მთავრობა დიდათ დაინტერესებულია საბჭოეთის მიერ დამონებული ხალხის კეთილმოწყობით. ჩვენი მთავრობა ღრმად დაინტერესებულია ამ ხალხის ბედით და კარგად ესმის მათი სურვილი, რომ იყვნენ თავისუფალნი: ჰქონდეთ მათ თავისუფალი არჩევნების სისტემა და მათ განაგებდეს თავისუფლად არჩეული მთავრობა.

გისურვებთ შეკრებულობის წარმატებით ჩატარებას.

მარად თქვენი, რობერტ **ოვერ**

საბჭოთა კავშირის საქმეების ბიურო.

ძვირფასო დოკ. ზალდასტანი:

ნიუ-იორკის შტატის მოსახლეობა ყოველთვის დიდი სიმპატიით ეპყრობა დაპყრობილ ერთა სურვილებს, რომ მათ დაიბრუნონ თავისუფლება, რაც მათი უფლებაა.

ამიტომ ბედნიერი ვარ ქართული სათვისტომოს წევრებს მიულოცო საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი, რომელიც მაისის 26 არის.

ქართული საზოგადოების წევრები შექების ღირსნი არიან თავისი მოქმედების გამო, რაც გამოიხატება გადმოხვეწილ ქართველების დახმარება-ხელის შეწყობაში და ქართული კულტურის შემონახვაში

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის.

ნელსონ როკფელერი.

ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი.

დოკ. ოთარ ზალდასტანს:

საქართველოს დამოუკიდებლობის 44 წლის თავის გამო გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ქართული სათვისტომოს წევრებს და მის მეგობრებს.

გისურვებთ ნაყოფიერად გააგრძელოთ თქვენს მიერ წამოწყებული მეტად სასურველი საქმიანობა, რაც გამოიხატება თქვენი გადმოხვეწილი თანამემამულეების დახმარება, ხელისშეწყობა რეაბლიტაციაში.

რობერტ ვაგნერი.

ნიუ-იორკის ქალაქისთავი.

დოკ. ოთარ ზალდასტანს:

მსურს შეგიერთდეთ თქვენ და თქვენს წევრებს საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის აღსანიშნავად და შევაქო თქვენი ძლიერი სურვილი და გამძლეობა რომლითაც ინახავთ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის სულს.

სწორედ ამის გამოა, რომ მე განსაკუთრებული ენერგიით ვმუშაობდი იმ ჯგუფში, რომელსაც განზრახვა ჰქონდა დაეარსებინა დაპყრობილ ერთა სპეციალური კომიტეტი, მაგრამ სტეიტ დეპარტამენტის ოპოზიციამ შეაჩერა ეს საქმიანობა.

ედუარდ დერვინსკი.

კონგრესის წევრი.

დოკ. ოთარ ზალდასტანს:

გთხოვთ გადასცეთ ჩემი მხურვალე მილოცვა და საუკეთესო სურვილები ყველა დამსწრეთ, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის 44 წლისთავს ზეიმობენ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევეით და შევაქო თქვენი ორგანიზაცია თავისი ღირსეული საქმიანობისათვის.

მხოლოდ ამგვარი მიძღვნილობით არის შესაძლებელი თავისუფლების აღდგენა.

გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას.

კენეტ კიტინგი.

შერთებული შტატების სენატორი.

დოკ. ოთარ ზალდასტანს:

მილოცვა და საუკეთესო სურვილები ქართულ საზოგადოებას ამ დიად დღისათვის, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის 44-ხე წლისთავია.

თქვენი თავდადებული მუშაობა შექების ღირსია და ვაქებ თქვენს მაღალ მიძღვნილობას, რომელიც დამონებულ ერთა ერთად-ერთი იმედია.

გარწმუნებთ მე მზათა ვარ ყოველმხრივ ვითანამშრომლო თქვენთან და ხელი შეუწყო თქვენს სამაგალითო საქმიანობას.

ჯაკობ ჯევითი.

შეერთებული შტატების სენატორი.

დოკ. ოთარ ზალდასტანს:

დაპყრობილ ერთა კვირის რეზოლუცია, გამოქვეყნებული კანონით 86-90 და დამტკიცებული 86 კონგრესის მიერ—მნიშვნელობას აძლევს ამ წელს გადახდილ საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავს. ამ კანონით შეერთებული შტატების კონგრესმა ოფიცალურად იცნო და აღიარა რუსული იმპერიალისტური კომუნიზმის მიერ ყველა დაპყრობილი ერები.

ამგვარი გაგების გარეშე ჩვენი ქვეყანა ვერ გაიგებდა რუსული იმპერიალისტური კომუნიზმის ბუნებას და შესცდებოდა მის შეფასებაში.

დიდათ მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა საზოგადოებამ ენერგიული მონაწილეობა მიიღოს ივლისის მესამე კვირის ცერემონიაში. რომელიც მიეძღვნება დაპყრობილ ერთა კვირას. მე ძალიან გირჩევთ მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა იქონიოთ და იმ ერებთან ერთად იმოქმედოთ, რომლებიც დაპყრობილ ერთა სიაში აღინიშნებიან. ეს იქნება კრემლის ტირანებისთვის დიდი გაფრთხილება, რომ ჩვენი ხალხი საქმიანად ღებულობს დაპყრობილ ერთა კვირას და ჩვენი მთავრობა ხალხის ნება-სურვილის გამომხატველია.

მე ყურადღებით ვეკიდები ქართველი ხალხის სამართლიან სიამაყეს, რომელსაც ამის უფლებას აძლევს მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურა, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები და რელიგიური გატაცება და მისი გაუტეხელი წინააღმდეგობა, რომელსაც ის უწევს მოსკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

თქვენ შეგიძლიანთ დარწმუნებული იყოთ, რომ მე არც მომავალში მოვაკლებ ცდას, რათა დიადმა ქართველმა ერმა დაიბრუნოს დამოუკიდებლობა.

საუკეთესო სურვილები ყველა ჩემს მეგობრებს ამ ისტორიული შემთხვევის გამო.

მიხეილ ფეიგან.

შეერთებული შტატების წარმომადგენელი.

⁂

ნუ თუ ამოჩნდეს, რომ შენს დიდ ამაგს
ეჭვით შეხედოს, დაივიწყოს, არ სცეს თაყვანი,
არ სცეს თაყვანი მისი ქვეყნის სარდალს და მამას,
ვით თაყვანს სცემდნენ ჩვენი დიდი მამა-პაპანი.
არა, ეგ ლტოლვა ვაჟკაცური ვერვინ დამარხოს.
ვერ გამოგიჩნდეს უგუნური მტერი მზრახველი.
თვით ეს მთებიც კი მოგძახიან „პატარა კახო"
კურთხეულ იყოს შუქ მოსილი შენი სახელი!

ს. ფაშალიშვილი.

(ერთტომეული. „საბჭოთა საქართველოს" გა.)

დოქ. ო. ზალდასტანიშვილის სიტყვა.

წარმოთქმული 26 მაისის საზეიმო კრებაზე.

ძვირფასო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემ სახლში, ბოსტონში, ერთი რუკა მაქვს, რომელიც ძალიან მიყვარს. იგი ჩარჩოშია ჩასმული და ისეთ ალაგას ჰკიდია კედელზე, რომ ყოველ შემომსვლელს თვალში ეცემა. რუკა განაწილებულია სამად: ერთი დიდი ნაწილი გვიჩვენებს რომის სამყაროს და ორი სხვა, უფრო პატარა ნაწილი გვიხატავს ქვეყნებს რომლებსაც იცნობდნენ ჰომიროსი და ჰეროდოტე. ცენტრში ნახავთ კოლხიდის და ივერიის ლეგენდარულ მიწებს, რომლებისგანაც საქართველო წარმოიშვა.

როცა ამ რუკას უყურებ მაგონდება საქართველოს რესპუბლიკის აწ განსვენებული პრეზიდენტის—ნოე ჟორდანიას სიტყვები: იმ 34 ქვეყნიდან, რომლებსაც ჰეროდოტე გვიამბობს, თორმეპილის ბრძოლებში მონაწილეობა მიიღესო ქსერსის მხარეზე, ერთად-ერთი ქართველმა ერმა შეინარჩუნა დღევანდლამდე თავისი ხასიათი, ენა, მიწა-წყალი და 1921 წ. თავისი დამოუკიდებლობაც, მიუხედავათ მრავალი სიძნელეებისა და უმძიმესი პირობებისა თავისი გრძელი ისტორიის გასწვრივ.

კრების თავმჯდომარემ ეს კია მოგვაგონა დიდი თამარ მეფის გარდაცვალების 750 წლის თავი.

ზოგი თქვენგანი იკითხავს: არის საჭირო, რომ უფრო შორეულ წარსულს გადავხედოთ?

საჭიროა სხვა რამ მოგახსენოთ 2442 წლის ისტორიიდან, რათა წარსულიდან აწმყოში გადავიდეთ?

ქალბატონებო და ბატონებო! დღეს ჩვენ შევიყარენით ამ დარბაზში სწორედ იმისათვის, რათა ვიდღესასწაულოთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი.

თუმცა, მწუხარებით უნდა მოგახსენოთ, რომ არსებობენ ისეთი გამოჩენილი ხალხი (და სწორედ შეერთებულ შტატებში), რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ, რომ ოდესლაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო.

ეს ბატონები საქართველოს უყურებენ, როგორც ისტორიულად საბჭოთა კავშირის კუთვნილ უბრალო გეოგრაფიულ არეს. ეს ნამდვილი დაცინვაა... საბჭოთა კავშირი 45 წლის განმავლობაში გახდა ისტორიის მქონე სახელმწიფო და ორიათასი წლის წარსულის მქონე საქართველოს კი მხოლოდ გეომეტრიული სივრცე ეკუთვნის.

ამისთანა აზრის გამოთქმა სავალდებულოთ მოითხოვს პასუხს. როგორც ქართული წარმოშობის ამერიკელები ჩვენ მოვითხოვთ ახსნა-განმარტებას: შესაძლებელია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესცვალა თავისი პოლიტიკა დაპყრობილ ერთა მიმართ, ისიც არის შესაძლებელი, რომ სამინისტროს საბჭოთა კავშირის ექსპერტები ასეთი უვიცები იყვნენ და ეს მართლა არ იცოდნენ, ორივე შემთხვევაში დაუშვებელი და შეუწყნარებელია ფაქტების ასეთი დამახინჯება.

არავის ძალუძს წაართვას საქართველოს მისი ისტორია: ეს ისტორია არსებობს, ის წარუშლელია და უმგვანო ფიქრით, ან საქციელით მას ვერავინ წარხოცავს. საქართველოს წარსული და მომავალი რჩება ქართველ ერთან და ამერიკა მხოლოდ თავის-თავს იზარალებს, როცა სიმართლის დანახვა არ სურს და ანგარიშს არ უწევს.

მართალია ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ საქართველოს წარსულზე, ვწერთ ამაზე საგაზეთო წერილებს; მოწმეებათ გამოვდივართ კონგრესის კომიტეტის წინაშე, მაგრამ სჩანს ეს საკმარისი არა ყოფილა და ამიტომ უფრო გვაღელვებს, როცა ვკითხულობთ ისტორიის ამგვარ დამახინჯებას. ამიტომ უფრო ისმება საკითხი—დავარწმუნეთ კი ვინმე ჩვენს სიმართლეში?

მახსოვს, ერთხელ მთელი საღამო გავატარე საუბარში, საქართველოს უფლების დასაცავად, ერთ ახალგაზრდა ადამიანთან, რომელიც ნამსახური იყო მთავრობაში და პროფესორობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში.

ის იცნობდა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ბევრ წარმომადგენელს. ის იცნობდა ზოგ ჩვენ საკითხსაც, და რადგან ისტორიის პროფესორია, გაგონილი ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობა. მაგრამ მან არაფერი იცოდა ჩვენი საამაყო წარსულიდან.

მასთან საუბარში შევეცადე ვყოფილიყავი მკაფიო და მოკლე. არაფერი უთხარი, რომ საქართველო ცივილიზაციის აკვანია და მისი მკვიდრნი ითვლებიან საუკეთესო რასის წარმომადგენლებად. რომ დიდება და სიმშვიდე სუფევს საქართველოს მთების მწვერვალებზე და მისი ნაყოფიერი ბარი მომხიბვლელობით იზიდავს ხალხს საცხოვრებლად. არა, ვეცადე ვყოფილიყავი ძალიან მოკრძალებული და თავმდაბალი და ქართველი ადამიანი ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენად შევწუხდი და დავიტანჯე.

ეს ადამიანი წარმომადგენელი იყო ნასწავლი და ბრწყინვალე ახალგაზრდა პროფესურის, რომლებიც დღეს ასეთ დიდ მონაწილეობას იღებენ შეერთებული შტატების პოლიტიკაში.

მის გადმობირებაში ვხედავდი დიდ საჭიროებას, რადგან მისი დახმარებით უდიდესი მიღწევებისკენ გვეხსნებოდა გზა.

უპირველეს ყოვლისა მას მოკლედ დაუხაზე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა რათა სცოდნოდა, რომ არ ვლაპარაკობ რომელიმე მითოლოგიურ ამბავზე, ან ემიგრაციის რაღაცა გამოგონილზე. უთხარი, რომ თუმცა 11-12 საუკუნოებში საქართველო აერთებდა შავი და კასპიის ზღვებს და შორს იჭრებოდა მცირე აზიაში, დღეს მას შერჩა მხოლოდ ამერიკის ვირჯინია შტატის ოდენა მიწა-წყალი. არ დავუმალე, რომ საქართველოს საზღვარი ბევრჯერ გადმოულახავს ძლიერ მტერს. მართლაც, რომელია ამაზე უფრო მტკიცე საბუთი ერის სასიცოცხლო ძლიერების, რომ ეს ხალხი დღესაც დგას და განაგრძობს თვითმყოფობისათვის ბრძოლას, რომელმაც განიცადა შემოსევა ალექსანდრე დიდის, რომაელების—პომპეუსის სარდლობით, არაბების, მონღოლების ათიოდე დარბევა, სპარსელების და ოსმალოების აოხრება და ბოლოს 19-ტე საუკუნეში რუსეთის შემოპარვა და 1921 წელში კი საბჭოთა რუსეთის დაპყრობას.

ჩემს საუბარში ხაზი გავუსვი, რომ ქრისტიანობა მივიღეთ მეოთხე საუკუნის დასაწყისში და ქართველებს ამან მისცა ის სულიერი ძალა, რომელიც საჭიროა, რათა ერი შეებრძოლოს სხვა რწმენის მატარებელ ერების დამპყრობლებს. ძალიან ვეცადე, რათა მას, რაც შეიძლება მეტი გაეგო ქართველი ხალხის შესახებ, რათა საზოგადოთ გაეცნო ქართველი ხალხი, თუ რა ზნე-ჩვეულება აქვს, როგორ ცხოვრობდნენ, როგორ იბრძოდნენ და როგორ იციან სიკვდილი რწმენისა და სამშობლოსათვის.

მიუხედავათ ჩემი დიდი ცდისა, გულში ურვით მალე დავრწმუნდი, რომ დავმარცხდი. ცხადია ჩემი თანამესაუბრე ყურს მიგდებდა და ზოგჯერ საინტერესო საკითხსაც მისვამდა მაგრამ ისე სჩანდა თითქოს ზღაპარს უამბობდი. ის წარსული, რომელიც მე დაუხატე, უმალ ჰკარგავდა მნიშვნელობას, როგორც კი საკითხს აწმყოში გადაიტანდა. ამას გულწრფელად სჯეროდა, რომ წარსულის დიდებაზე ლაპარაკი ემიგრანტების ხელში ცოტა გადაჭარბება იყო.

მითხრა კიდეც, რომ შეერთებულ შტატებში საქართველოს საკითხი არ არსებობს და არც იმის საბუთი არსებობს, რომ ქართველებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სურთ. ხოლო თუ ვინიცობაა, დაუმატა მან, დრომ მოითხოვა, რომ შეერთებულ შტატებს დასჭირდა გააცნოს თავის მოსახლეობას საქართველოს საკითხი, ის ამას ერთ კვირაში მიაღწევს და დღეს-დღეობით კი ამისათვის ენერგიის ხარჯვა არა ღირს და მე ის დღევანდელ რთულ საერთაშორისო მდგომარეობაში უაზრობათ მიმაჩნიაო.

მძიმე ფარდა ჩამოეშვა ჩვენ შორის. მანამდე არ მეგონა, რომ ერთი-მეორისაგან ამდენათ განვსხვავდებოდით. ძირითადი იყო ჩვენი მრწამსის და გაგების სხვადასხვაობა.

ჩემის აზრით მას ეგონა, რომ მოდერნული სახელმწიფო და მისი მომავალი შეიძლება დაფასდეს მხოლოდ მთავარი და საჩინო მოვლენებით, რომლებიც უშუალოდ ეხებიან მოსახლეობას. ხოლო თუ დიდმნიშვნელოვანი არაფერი აღმოჩნდა ეს ნიშნავს, რომ ცვლილებების საჭიროება არ არის, ხალხს ამის სურვილიც არა აქვს და მაშასადამე არც არაფერი უნდა შეიცვალოს.

ჩემი ღრმა რწმენით ეს დებულება სრული სიბეცის მაჩვენებელია. ერის ვითარება არ მისდევს ლოღიკური მსჯელობის პირდაპირ, უწყვეტელ ხაზს და მისი საფეხურები არ შეიძლება წინდაწინ ნაანგარიშები და გათვალისწინებული იყოს.

ერის ცხოვრება სავსეა მოულოდნელი და მძლავრი ნახტომებით და რეაქციებით, რომელთა მიზეზი უშუალოთ არცა სჩანს, რადგანაც ჩამალულია სადღაც წარსულში, ღრმა, უჩინარ განცდებში და ერის ისტორიაში.

მძლავრი და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები ჩვეულებრივათ მოულოდნელათ იჩენენ თავს სულ უბრალო საბაბის გამო. შეუძლებელია ადამიანმა მოაგროვოს რამოდენიმე მოვლენა, რომელიც ერთ რომელიმე ქვეყანაში ხდება და მოსთხოვოს ბრწყინვალე ტვინის ადამიანს მისი ლაბორატორიაში გარჩევა, ან გადასცეს ახალ ელექტრონიკულ მანქანას და მოელოდდეს ინტერნაციონალურ საკითხებზე სწორ, შეუმცდარ პასუხს. სავალდებულოა ადამიანმა ყურადღება მიაქციოს ყოველნაირ მოვლენას, რადგან ხშირად ყველაზე ნაკლებ შემჩნეულ და უმნიშვნელო მოვლენაში შეიძლება იმალებოდეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი.

ქვეყნის მაჯის ცემა ხალხის გულიდან გამომდინარეობს. ერის საქციელის გაგება ამ გულის ნადებში იმალება. მეტყვით—კიო, მაგრამ როგორ მივიდე ერის გულთან, როცა ის დაპყრობილია? პასუხი სულ უბრალოდ მეჩვენება. დაიწყეთ მისი ენის და ისტორიის შესწავლიდან და მაშინ უფრო ადვილად მიუხვდებით მის გულის ნადებს. მაშინ ადამიანი მოახერხებს ისეთი მოვლენების გაგებას და ახსნას, როგორიც იყო, 1956 წლის თბილისის აჯანყება და არ ჩაიდენს ისეთ სამარცხვინო შეცდომას, რომ მას პროსტალინური უწოდოს. ამ გზით თავიდან ავიცილოთ ის შეცდომა. რომ ხალხის ნამდვილ სურვილს და მის შინაგან განწყობილების გამომჟღავნებას ყურადღება არ მიაქციო და მხარი დაუჭირო დამპყრობელის

ავყიას კომენტარიები.

„ჰოი ნაზარა დაუძლეველო“

ალბათ გაგონილი გექნებათ ნაზარა დაუძლეველის არაკი. ნაზარა, რომელმაც ერთი ხელის მოქნევით ათასი ბუზი მოკლა. მისი გმირობა პირიდან-პირში გადავიდა და სახელი გაუვარდა. უფრო გვიან ვინმე აშუღმა ლექსიც გამოთქვა: აი ნაზარა დაუჯაბნელი, ერთის მოქნევით ათასის მკვლელიო.

ვინც მსოფლიო პრესას თვალყურს ადევნებს, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერება და ტექნოლოგია დაუჯერებელი ნაზარას როლში გამოდის დასავლეთის მეცნიერებასთან შედარებით. რატომღაც და როგორღაც საბჭოთა მეცნიერები მუშაობენ უშეცდომოთ, მათი ექსპერიმენტები არასდროს დამარცხებით არ მთავრდებიან და მათი რაკეტები არც ჰაერში და არც სატყორცნ პლატფორმებზე არ ფეთქდებიან.

უაზრო და ბავშური იქნება საბჭოთა მეცნიერების და ტექნოლოგიის მიღწევების უარყოფა, კოსმონავტიკის და კოსმოსის შესწავლის ზოგიერთ დარგში. მაგრამ დაუჯაბნელი ნაზარას რეპუტაცია იმის შედეგია, რომ დასავლეთის პრესაში, საბჭოთა პირველი სპუტნიკის გაფრენის პირველი დღიდან, ერთხელაც არ გამოქვეყნებულა პატარა ცნობა, საბჭოთა ექსპერიმენტის მარცხით დამთავრების შესახებ. ტოტალიტალური რეჟიმებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ გამარჯვებებზე და მიღწევებზე ლაპარაკი და ტრაბახი. მარცხით დამთავრებულ ექსპერიმენტზე ნიკიტას პრესაში ერთი სიტყვაც არ დაძრულა და ამ საგანზე ლაპარაკი აკრძალული აქვს საბჭოთა გაზეთებს. რადგანაც ამ გვარ მოვლენებზე საბჭოთა პრესა სდუმს და დასავლეთის გაზეთებს საშუალება არა აქვთ თვალყური ადევნონ საბჭოთა კოსმიურ ექსპერიმენტებს, ბუნებრივია, რომ ამის შესახებ მსოფლიო პრესაში არაფერი დაწერილა.

მეორეს მხრივ ამერიკული ასტრონავტული და კოსმოსის შესწავლის მეცნიერება სახალხო განსჯის საგანია. ყოველი ექსპერიმენტის ჩატარების წინ პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ იცის ამის შესახებ და სათანადო ცნობას აქვეყნებს. ამ ექსპერიმენტების მარცხისა თუ გამარჯვების შესახებ მსოფლიომ მყისვე იცის. სავსებით ბუნებრივია, რომ ადამიანის მეხსიერებას შეიძლება ადვილათ გამორჩეს ღირსშესანიშნავი დატების მოვლენა და მეხსიერებაში ჩარჩეს მარცხით დამთავრებული ტექნიკურად და ტექნოლოგიურად რთული ექსპერიმენტი. რატომღაც ადამიანის გონება ადვილათ იმახსოვრებს დამარცხებას და ივიწყებს გამარჯვებას.

სწორედ ამიტომ გვინდა ჩვენი მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ საბჭოთა კოსმიური ტექნოლოგიის იმ უდიდეს მარცხზე, რომელსაც მსოფლიო პრესამ მაინცადამაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია. გასული წლის თებერვალში საბჭოთა დეპეშათა სააგენტომ „ტასს“-მა დიდი ყიჟინით აუწყა მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირმა განავრცო კოსმოსის საზღვრები ვენერამდის და რომ საბჭოთა კოსმიური ხომალდი გაფრინდა ვენერისკენ და მაისის შუა რიცხვებში მიაღწევდა დანიშნულებას. რასაკვირველია ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მსოფლიო პრესა გულწრფელი ენტუზიაზმით შეეგება და განაცხადა, რომ პირველი სპუტნიკის ეპოქიდან, ეს იყო საბჭოთა მეცნიერების ყველაზე დიდი და ღირსშესანიშნავი გამარჯვება. საბჭოთა კავშირმა, როგორც ყოველთვის, ამ ჯერათაც გაშალა დიდი საპროპაგანდო აქტივობა. ხელსაყრელად გამოიყენა ეს მომენტი და ტრაბახით განუცხადა მსოფლიოს: „უძლეველმა მეცნიერებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალისტურ მეცნიერებასთან და პირველი შარა-გზა გაიყვანა მზის სისტემისკენ. „ტასს“-ის ცნობით ყოველ ხუთ დღეში საბჭოთა მეცნიერები ხომალდიდან რადიოთი მიიღებდნენ მეტად საინტერესო ცნობებს კოსმიური სხივების და სხვა მეცნიერული დაკვირვებების შესახებ რამოდენიმე დღის შემდეგ იმავე სააგენტომ აუწყო რომ ხომალდი მიაღწევდა ვენერას მაისის შუა რიცხვების ნაცვლად, აპრილის ბოლო რიცხვებში. ამას მოჰყვა რუსეთის ახალი კომუნიკე, რომ მათ დაკარგეს ყოველგვარი კავშირი კოსმიურ ხომალდთან და კავშირის დამყარებას აპირებდნენ ბრიტანეთის ჯოდრელის ოფსერვატორიასთან, იმ იმედით, რომ ამ უკანასკნელის კოლოსალური რადიო-ტელესკოპის საშუალებით შესძლებოდათ დაკარგული კოსმიური ხომალდის ადგილსამყოფელის განსაზღვრა. ინგლისელებმა ვერ იპოვეს საბჭოთა „დაკარგული მარგალიტი“, მაგრამ გამოიანგარიშეს ხომალდის ტრაექტორია, საბჭოთა მეცნიერების მიერ გადაცემული ცნობების თანახმად და დაასკვნეს, რომ ვენერისკენ გაგზავნილი საბჭოთა სიამაყე სულ ცოტა 50 მილ. კილომეტრით ასცდა დანიშნულებას. მას შემდეგ საბჭოთა კაოშირს კრინტი არ დაუძრავს სოციალისტური სისტემის ამ „კოლოსალურ გამარჯვებაზე“. საბჭოთა კოსმიური ხომალდი სადღაც კოსმოსში დაფრინავს, აგროვებს მეცნიერულ და ტექნოლოგიურ ცნობებს მზის სისტემისა და ვენერის შესახებ და ინახავს საკუთარ კარაბადინში. ეჭვ გარეშეა, რომ ასეთი ხასიათის ინფორმაცია და მასალა ფასდაუდებელია მეცნიერებისათვის. სამწუხაროთ მკვდარსა და შინ მოუსვლელს შორის განსხვავება არ არის. სამწუხარო ისიც არის, რომ ორი კვირის ტრაბახისა, კვეხნისა და ბაქიბუქის შემდეგ „ტასს“ გამბედაობა არ ეყო, რომ უძლეველი ნაზირას დამარცხება და მსოფლიო პრესას კი არ გაახსენდა ამ „კოლოსალური“ მიღწევისათვის ნეკროლოგის დაწერა

ჩვენ კი, ამ სტრიქონების ავტორს, გულში დარდათ ჩაგვრჩა, მზის სისტემისკენ გაგებულ საბჭოთა შარაგზაზე განფენილ უძლეველ ნაზარას დახოცილ ბუზების ბედ-იღბალი.

⁂

„პარტიის მშობლიური მზრუნველობა.“

ამას წინათ მოსკოვში თავი მოიყარეს 2700 „იდეოლოგიურ აქტივისტებმა“, ნიკიტას ჩათვლით. ყრილობის საკულმინაციო წერტილი იყო საბჭოთა საბავშვო მწერლის სერგეი მიხალკოვის მოხსენება, სადაც მიხალკოვმა ხაზგასმით აღნიშნა „რიგიანად აღზრდილი საბჭოთა ბავშვი“. მიხალკოვმა, ნიკიტას ლოცვა-კურთხევით, განაცხადა ,რომ „რიგიანი საბჭოთა ბავშვი, არის ისეთი ბავშვი, რომელიც თავის მშობლებს ეტყვის,, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია და სავბოთა ხელისუფლებაა მისი ჭეშმარიტი აღმზრდელი, მზრუნველი და მოამაგე“. ამის საილუსტრაციოდ მომხსენებელმა დაასახელა გულდაწყვეტილი მამა და მისი „რიგიანად“ აღზრდილი შვილი ივანე. ივანეს ანცობამ, ჯიუტობამ, უდისციპლინობამ და დაუმორჩილებლობამ ისეთ საზღვრამდე მიაღწია, რომ მამა იძულებული იყო ეთქვა შვილისათვის, რომ მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ მისთვის და ცუდათ მოქცევა ამაგის დაუფასებლობა იყო. მიხალკოვს თუ დაუჯერებთ, ივანე მიუბრუნდა მამას და მიახალა: „შენ ვინა ხარ და რას აკეთებ ჩემთვის: პარტია და ხელისუფლება არიან ჩემი აღმზრდელი, მზრუნველი და მოამაგეო“. „დიახ—სიამაყით განაცხადა მიხალკოვმა, ივანე მხოლოდ ხუთი წლისაა, მაგრამ იგი უსმენს რადიოს, უყურებს ტელევიზორს და ღრუბელსავით ისრუტავს ნახულსა და გაგონილს“.

საინტერესოა, რატომ არ მოუყრის პარტია და ხელისუფლება თავს ყველა ბავშვებს და არ ზრდის მათ „რიგიანათ“? ვინ იცის რამდენი მამა არის ივანეს მამის აზრისა და ტყავიდან ძვრება შვილების აღსაზრდელად?

ოფიციალურ ვერსიას, რომელსაც ხშირად სავალალო შედეგები მოაქვს.

ამგვარი ზერელე დასკვნები საუბედუროთ ხშირია. დღევანდელ ლაოსის მდგომარეობაზე გაზეთი „კრისტიან საიანს მონიტორი“ გასულ კვირებში სწერდა: „დროა ვითარების გაგებისათვის მივმართოდ „საიდუმლო იარაღს“, ე. ი. ერის მთლიანობის და დამოუკიდებლობის იმ წადილს, რომელიც ლაოსის ხალხს გულში აქვსო“.

როდის დადგება ის დღე, როცა ჩვენი პოლიტიკოსები შეიმცნობენ „საიდუმლო იარაღის“ ძალას, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს გულში ჩამარხული აქვთ; გაიგებენ მისი პოლიტიკის ნამდვილ ვითარებას და ისწავლიან მის გამოყენებას?

დიაღ, საჭიროა მეტი მეცადინეობა და ცოდნის გაღრმავება ეროვნულ მოვლენათა შესაფასებლად, რათა სწორედ დაფასდეს თუ რა ხდება ბრჭყვიალა მოვლენების უკან. თავი მოუყაროს ერების და ქვეყნების ნამდვილ სურვილებს და არ დაბრმავდეს ადამიანი „ბერლინის კრიზისით“ და ამ სიბრმავით არ დაკარგოთ ევროპა.

ჩვენ კი ნუ დავივიწყებთ ჩვენ წარსულს. ნუ გაუშვებთ ნურც ერთ შემთხვევას, რათა წინ წავწიოთ ჩვენი ხალხის განთავისუფლების საქმე. ჩვენ მხნედ უნდა ვიდგეთ ჩვენი ერების ვითარების საგუშაგოზე, რადგან ჩვენ ვართ ერთად-ერთი, ვისაც წარსულის გამოცდილება საშუალებას გვაძლევს იმ უფსკრულზე ვიქცეთ გზათ და ხიდათ, რომელიც დაპყრობილ ერებს თავისუფალ მსოფლიოსგან მიჯნავს.

ძველი რუსული ფანდები ახალ სამოსელში.

„ეს ის პერიოდია, როცა ერის საუკეთესო წარმომადგენლებმა რომანტიულ უკან ცქერას თავი დაანებეს, წინ გახედვის აუცილებლობა თითქმის ყველამ იგრძნო და კულტურის ფრონტზე რაღაც მოძრაობა შეიქმნა. ამას ხელი შეუწყო მეფის რუსეთის მკაცრი პოლიტიკის შერბილებამ საზოგადოთ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, რაც გამოწვეული იყო შამილის აჯანყებით და ამის გამო კავკასიაში მეფის რუსეთის მდგომარეობის შერყევით.

ზოგიერთი მეამიტი მოაზროვნე ამ ეპოქას მეფის მოადგილის ვორონცოვის სახელს უწოდებდა და მასთან აკავშირებდა ქართული კულტურის აღორძინების საკითხს...“

„ვორონცოვი ისევე იყო დაინტერესებული ჩვენი ცხოვრების აღორძინებით, როგორც მისი წინამორბედნი, თუ მომდევნონი. ვორონცოვი აქ დამოუკიდებელ პოლიტიკას ხომ ვერ აწარმოებდა. ყოველი მისი ნაბიჯი უმაღლესი განხილვის შემდეგ დადასტურდებოდა, იქ კი, ცენტრში გარკვეული პროგრამა ჰქონდათ შემუშავებული...ეს იყო მეფის რუსეთის დიპლომატიური მანევრი. შამილის მარჯვე ომებმა რუსეთი დიდ საგონებელში ჩააგდო...და რომ საქართველოც აჯანყებულებს არ მიმხრობოდა, რაც რუსეთის ბატონობას კავკასიაში მეტად პრობლემატიურად ხდიდა, ამისათვის შეცვალეს პოლიტიკა და იწყეს ქართველი ხალხის გულის მონადირება“

„ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს—არა სჩანს. მართალია მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულტურას თითქმის სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა...რომ ვორონცოვს, საქართველოს სასარგებლოდ არაფერი გაუკეთებია, ეს სჩანს იმ „რეფორმებიდან“, რაც მის სახელთან არის დაკავშირებული.

„უპირველეს ყოვლისა ვორონცოვმა უარყო ე. წ. „ამიერკავკასიის“ ის დანაწილება, რომლის ავტორიც იყო სენატორი განი. ამ პროექტით, ამიერკავკასია იყოფოდა ორ გუბერნიად: „საქართველო იმერეთისა“ და კასპიისა. ამ დანაწილებას საფუძვლად ედო მხარეთა ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურება. რასაკვირველია ეს პროექტიც ცენტრალური რუსეთის ტრაფარეტზე იქნებოდა აგებული, მაგამ მაინც ამ გუბერნიის სახით საქართველოს ადმინისტრატიული მთლიანობა რჩებოდა. ვორონცოვმა კი ეს პროექტი უარყო და დაანაწილა შემდეგ გუბერნიებად: ტფილისის, ქუთაისის, შემახიის, დარუბანდისა და ერევნის. ამ დანაწილებით კი დაირღვა საქართველოს ის მთლიანობაც, რომელსაც განის პროექტი გულისხმობდა. შემდეგ ვორონცოვმა დიდი ყურადღება მიაქცია განათლების საქმეს. შექმნა ერთი მთლიანი სამოსწავლო ოლქი, რომელსაც დაუქვემდებარა მთელი კავკასიის სასწავლებლები; დააარსა კომერციული გიმნაზია ტფილისში, „კავკასიელთათვის“ შემოიღო სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლში გასაგზავნად და სხვ. მაგრამ ეს ხომ რუსული სასწავლებლები იყო. იგი ქმნიდა იმ ცენტრებს, სადაც აჩქარებით და სისტემით მოხდებოდა ეროვნული დეგრადაცია. მას უნდოდა კავკასიის სასწავლებელთა მოქცევა იმპერიის ორბიტში, რასაც მოითხოვდა მეფის ბრძანება, მიმართული სენატისადმი: „სასწავლებელთა შექმნა კავკასიაში დაუახლოვდეს იმ წყობილებას, რომელიც შიგნითა გუბერნიებში (რუსეთში) არის შემოღებული, და ამგვარად, კავკასიაში და ამიერკავსიაში დამყარდეს სახალხო განათლების იგივე სისტემა, რომელიც არსებობს სახელმწიფოს სხვა ნაწილებში“. ვორონცოვმა შეასრულა მეფის ბრძანება. მისი დამსახურება, ქართული კულტურის წინაშე, აქაც მოჩვენებაა, მეტი არაფერი. შემდეგ ვორონცოვმა მოსპო ქართული ფულის ტრიალი და სხვ. ერთი სიტყვით, ენერგიულად სპობდა ქართული სახელმწიფოებრივობის უკანასკნელ ნაშთებს...“

„ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი აღტაცებით ხვდებოდა ვორონცოვის „ახალ რეჟიმს“....შენახულია ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის „მომავალ ქართველ მწერალ ქალს“ მელანია ბადრიძეს... „დიდი ხანია არა ვყოფილვარ საქართველოს დედაქალაქში, და როცა დავბრუნდი, ვეღარ ვიცანი. ჩემს აქ არ ყოფნაში, ჩვენი აზიური ქალაქის ცვლილება ჩემთვის აუწერელად გასაოცარი იყო...მივხვდი რომ მოვესწარი საქართველოს განათლების საუკუნეს, რომ მაშასადამე ამაოდ არ მიმეცადნია, რაც შემეძლო ჩემ ცოდნას რომ შევწირე ძალა, რომ ეხლა არავინ გამკიცხავს, რომ ეხლა თვით ჩვენი ქალ-ვაჟები გამოდიან თეატრის სცენაზე და თამაშობენ პიესებს და როგორს?—ქართულს!... არა მჯეროდა რომ ტფილისში ვიყავი, ან უკეთ რომ ვსთქვა, რომ ტფილისში ჩემს თანამემამულეთა შორის ასეთი განათლება იყო. როდესაც ამაში დავრწმუნდი, კვლავ გავცოცხლდი რაღაც დიდებით, თითქოს ახალი წვიმა დამეპკურა, თითქოს გადამერეცხა ჩემს ძვლებიდან მთელი ძველი აზიური ჟანგი...მადლობა ღმერთს და ქება მთავრობას მისგან მოღებულს ჩემს ძვირფას სამშობლოსადმი“...

ასე აფასებდა (და ეს აღიარებული და გაბატონებული აზრია მთელი ეროვნული და პატრიოტული საქართველოს მიერ) მეფის რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას ნიჭიერი მკვლევარი და ლიტერატორი ვახტანგ კოტეტიშვილი, რომელსაც მარტო იმიტომ წარტაცეს სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის მპყრობელებმა, რომ ის ქართველი იყო და ქართველი—ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით და შინაარსით.

თუ დღევანდელი რუსეთის „გალიბერალებულ“ პოლიტიკას გადავხედავთ და ფაქტებს საღი გონებით შევაფასებთ—ზემოთქმულ ამონაწერიდან საჭირო შეიქმნება მხოლოდ „მეფის რუსეთის“ ნაცვლად „წითელი რუსეთი“ ჩავდგათ. აღწერილი სურათის დანარჩენი სახე უცვლელია, რადგან მეფისა თუ წითელი, ორივე შემთხვევაში, რუსეთი ემსახურება თავის „ისტორიულ“ მისწრაფებას: მსოფლიოში გაბატონებას და უკვე დაპყრობილი ერების რუსიფიკაციას.

ამ შემთხვევაში გამოიცვალა მხოლოდ რუსეთის „ფერი“ და მეთოდი, მიზანი კი უცვლელი დარჩა. მელანია ბადრიძეს მსგავსი ქართველები დღესაც არიან, რომლებიც (ზოგი ძლიქვხელობით, ზოგი გულწრფელად) აღფრთოვანებული ყვირიან: დავბრუნდი სამშობლოში, ვეღარ იცნობ ჩვენს დედაქალაქს, სულ გამოცვლილია შენი ქუთაისი, ყვირილა თუ ზესტაფონი...ჩვენი სახელოვანი პარტიისა და მთავრობის წყალობით მივიღე საცხოვრებელი ბინა და სამუშაო და სხვ... ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გადავხედოთ უნიჭოდ შედგენილ ჩეკის საპროპაგანდო გაზეთ „სამშობლოს ხმა“-ს, რომელიც აღმოსავლეთ ბერლინში გამოდის და რომლის ერთად ერთი დანიშნულება ემიგრაციაში პროპაგანდა და მისი გაღრწნაა.

ამ გაზეთში ხშირად შეხვდებით ქართველი მეცნიერების წერილებსაც. მაგ. ისეთი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის, როგორიც მუსხელიშვილია, რომლის თავი მრავალი ფორმულებით არის გაჭედილი, და ვინ იცის—შეიძლება „კუდ მოგლეჯილი“ საპროპაგანდო წერილის წერის პერიოდში რამდენ ახალ სიტყვას იტყოდა და ახალ საგანძურს შესძენდა კაცობრიობის სამეცნიერო სალაროს? მაგრამ რუსებს ეს არ აინტერესებთ. არ აინტერესებთ, რადგან ის ქართველია და მისი სახელის მსოფლიო ავტორიტეტით შემოსვა, მის წარმომშობ ერსაც ადიდებს და მის უკეთეს მომავალს საფუძვლად ედება. რუსეთისთვის უკეთესია „წვრილმანი საქმიანობით“ შეაქცევინოს თავი ყველას და ადიდებინოს „მშობლიური პარტია და უფროსი ძმა, დიდი რუსის ხალხი“, რომლის წყალობითაც „საქართველოს სული უდგა და სუნთქავს“

„სამშობლოს ხმა“-ში ხშირად შეხვდებით „დიდი მასწავლებლის“, ხრუშჩოვის ახალ მითითებებს და რჩევა დარიგებებს და „სამშობლოში“ დაბრუნებულ ქართველების მოწოდებებს: ხომ ხედავთ მე უკვე სამშობლოში ვარ, მომბაძეთ და თქვენც დაბრუნდით. აქ ყველაფერი გამოიცვალა...ლმობიერმა საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი გვაპატია დასხვ.

თუ ამ რენეგატების ლოღიკას გავყვებით, მივიღებთ რომ ემიგრაცია წარმოშობილია შიშის ნიადაგზე და აქედან გამორიცხულია ეროვნულ-იდეოლოგიური საკითხები. არავის არ მოსდის თავში, რომ ქართული ემიგრაცია წარმოიშვა 1921 წელში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგათ და ჩვენი ბრძოლისა და რუს დამპყრობელებთან შეურიგებლობის ერთად-ერთი მიზანი საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივობის აღდგენაა. ამიტომ არც რუსი დამპყრობელების და არც მათი ქართველი აგენტების „პატიება“ და მოწყალება, არამც თუ არაფერს არ გვეუბნება, არამედ უფრო მეტ შეურიგებლობაში გვაგდებს. ჩვენ რუსეთს არ ვაპატიევეთ და არასოდეს არ ვაპატიევებთ, რომ მან სამშობლო წარგვტაცა და იქ. რუსის ხიშტებით, ქარველი

⁂

„ეჰ, სად არის ცხონებული ეშია“?

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ტფილისში ცხოვრობდა ვინმე ეშია, ცნობილი ქურდ-ბაცაცა. ეშიას გარდაცვალებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ერთი სოვდაგარი დააპატიმრეს ქურდობისათვის და ამ ამბავმა ანტონ განჯისკარელს ქვემოდ მოყვანილი სტრიქონები დააწერინა:

„ეჰ, სად არის ცხონებული ეშია,
დღეს ქურდობა სოვდაგრების ხელშია!“.

საბჭოთა კავშირიში დიდი ხანია სოვდაგრები აღარ არსებობენ და აღარც ეშიას იხსენიებს არავინ. მაგრამ საბჭოთა კავშირში ქურდობა ისეთივე პოპულარულია, როგორც ეს ეშიას დროს იყო რუსეთის იმპერიაში. ამასწინათ ყირგიზეთის რესპუბლიკაში გაასამართლეს რესპუბლიკის საგეგმო კომისიის უფროსი (რასაკვირველია პარტიის გამოჩენილი წევრი) ბ. დუშალიევი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე (ისიც პარტიული) ტ. ნივიკოვი და მათი 50 კაციანი ბანდა. როგორც გაზეთი „საბჭოთა ყირგიზეთი“ იუწყება ამ ბანდას ქ. ფრუნზეში გაუხსნია ორი ფაბრიკა, რომელიც ბაზარზე უშვებდა მატყლის ქსოვილს, ფართალს, ხალიჩებს და სხვა ფართო მოხმარების საგნებს. ამ ბანდის განკარგულებაში იყო 47 კერძო სახლი, 16 ავტომანქანა და ა. შ. ბანდის წევრები იპარავდნენ ნედლ მასალას სახელმწიფო ქარხნებიდან, ან ყიდლობდნენ ამ მასალას მოქრთამულ მოხელეებისგან ყალბი საბუთებით. მზა პროდუქციის გასასაღებლად ბანდას გახსნილი ჰქონდა ორი არალეგალური მაღაზია. ნაწილი საქონლისა იყიდებოდა სახელმწიფო მაღაზიებში მოქრთამული მოხელეების მეშვეობით. ბანდის მოგებამ—გაზეთის სიტყვით—მიაღწია 34 მილიონ დოლარს.

პოლიციამ დაპატიმრებულთა ბინებში აღმოაჩინა და კონფისკაცია უყო ოქროს ზოდებს და ოქროს ფულს.

როგორც სჩანს კაპიტალისტური შემეცნების ამოფხვრა სოციალისტურ ქვეყანაში არც ისეთი ადვილი საქმე ყოფილა.

⁂

„ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“

1955 წლის დეკემბერში, როცა ხრუშჩოვმა იერიში მიიტანა კომუნისტური პარტიის იმ დროინდელ მდივანზე-მალენკოვზე, სხვა ბრალდებათა შორის ნიკიტამ ხაზი გაუსვა მალენკოვის ორ ძირითად შეცდომას.

1. ღალატი სტალინის მოძღვრებისადმი და მძიმე ინდუსტრიიდან ყურადღების გადატანა ფართო მოთხოვნილების საგნების დამზადებაზე
2. სამხედრო კავშირის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და ამით კაპიტალისტური სახელმწიფოების დამარცხების შანსების შემცირება.

როგორც ვხედავთ შვიდი წლის წინად ხრუშჩოვი სტალინის დამცველის პოზიციებიდან უტევდა ანტისტალინელ მალენკოვს.

დღეს იგივე ხრუშჩოვი ყვირის და „დღის სინათლეზე“ გამოაქვს სტალინის ყაჩაღური, კრიმინალური და ბანდიტური საქმიანობა და ბრალსა სდებს მალენკოვს, კაგანოვიჩს, ვოროშილოვს, მოლოტოვს და მათ ამალას სტალინის მოძღვრებისადმი ერთგულებაში. ამავე დროს ხრუშჩოვი ამ ჯგუფს უწოდებს „ომის მოყვარულებს“ და თავისთავი გამოჰყავს მშვიდობიანობის ანგელოზის როლში.

საკითხი ისმება: არის ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის „ლიბერალიზაციის“ გულწრფელი მომხრე და „მშვიდობიანობის ანგელოზი“? არის ხრუშჩოვი „პიროვნების კულტის“ მოწინაალმდეგე? რაში დასჭირდა ხრუშჩოვს „დესტალინიზაციის“ ასეთ საფეხურამდე აყვანა?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილი საქმეა. 1955 წელს ხრუშჩოვის მუცლის გვრემა იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ამისათვის საჭირო იყო ძველი ბოლშევიკების გვერდში ამოყენება და სტალინური მეთოდების გამოყენებით მიზნის მიღწევა. როცა ხრუშჩოვი დაეპატრონა ძალაუფლებას სტალინის აჩრდილი შიშის ზარს სცემდა მას და საჭირო იყო „პიროვნების კულტის“ გაცამტვერება. დღესაც სტალინის სახელი აზრიალებს ბაქია ხრუშჩოვს და ამიტომ არის, რომ იგი ასე გულმოიდგინეთ ებღაუჭება „დესტალინიზაციას“. ულვაშას მძორის მავზოლეიდან გადართევის შემდეგ ნიკიტა შეუდგა სტალინის სახელით გაჟღენთილი საბჭოთა კავშირის რუქიდან დიქტატორის სახელის ამოფხეკას. ორიოდე წლის წინად კიდევ ისმოდა „პიროვნების კულტზე“ ლაპარაკი“, მაგრამ დღეს ამის შესახებ კრინტი არ იძვრება, რადგან ხრუშჩოვის მიზანია სტალინის პედესტალზე შედგომა. როგორც ყოველ ჭეშმარიტ რუს, ისე ხრუშჩოვს ვერ უპატიებია თავისთავისათვის, რომ „დიდი დედა რუსეთს“ 30 წლის განმავლობაში არა რუსი განაგებდა, თუმცა ფსიქოლოგიურად სტალინი უფრო დიდი ველიკოროსი იყო და სტალინის მიერ შექმნილ რუსული იმპერიის წინაშე თვით პეტრე დიდიც კი ქედს მოიხრიდა. დღეს ხრუშჩოვი მისი, საკუთარი კულტის შექმნისათვის იბრძვის და ამისათვის შესაფერისი ნიადაგი უკვე მოიმზადა. ხელისუფლების ჩაგდების დღიდან ნიკიტამ შემოიარა საბჭოთა კავშირის ყოველი რესპუბლიკა და ცენტრალური ქალაქი. წყნარად, ხმაურობის გარეშე, ნიკიტამ ყველგან ჩააყენა თავისი გოშიები საპასუხისმგებლო პოსტებზე. ახლა „დესტალინიზაცია“ თითქმის დამთავრებულია და ნელ-ნელა, მონობას შეჩვეული საბჭოთა კავშირის მოსახლეობა შეუდგება „დიადი ნიკიტას“ ქება-დიდებას, რადგანაც ასეთი ვითარების გარეშე საბჭოთა რეჟიმს არ შეუძლია არსებობა.

მე ვიცი ბევრი ეჭვის თვალით შეხედავს ამ თეორიას. თუ ჩვენი არ გჯერათ გადახედეთ ემიგრაციისათვის განკუთვნილ „სამშობლოს ხმა“-ს 1961 წ. მაისი №5 (75) და დათვალეთ რამდენჯერ არის მოხსენებული ხრუშჩოვის სახელი მოწინავე წერილში და ნიკიტას რამდენი სურათი არის დაბეჭდილი პირველ ორ გვერდზე. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს გაზეთი განკუთვნილია ემიგრაციისათვის და მასში მეტი ზომიერება იქნება დაცული, ვიდრე ადგილობრივ საბჭოთა გაზეთებში.

მე თუ მკითხავთ არ დაგიმალავთ—ხრუშჩოვის ფიცი ძალიანა მწამს, მაგრამ სინამდვილე ძალიან მაკვირვებს.

⁂

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“

საბჭოთა ხელისუფლების ახლად გამოქვეყნებულმა დეკრეტმა სიკვდილით დასჯის და ნაშაულთა სიას (სამშობლოს ღალატი, შპიონაჟი, საბოტაჟი, ბანდიტიზმი, ტერორიზმი), ახალი პარაგრაფი დაუმატა, რომელსაც „ანტისოციალური საქმიანობა“ ეწოდება. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება, გამფლანგველობა, თაღლითობა, სახალხო საკუთრების განიავება და მითვისება და ა. შ. სიკვდილით და სჯა სასამართლოს განაჩენით თუ განაჩენის გარეშე არ არის ახალი საქმე, სოციალისტურ სამოთხეში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამ დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ უმაღლეს სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ თავი მოიყარა და ინსტრუქცია გაუგზავნა ხელქვეით სასამართლოებს, რომ განსაკუთრებული სიმკაცრით მიუდგნენ ზემოთმოხსენებულ დანაშაულს და დაუზოგავათ გაუსწორდნენ „ანტისოციალურ საქმიანობაში“ მონაწილეებს. ჩვეულებისამებრ ახალი დეკრეტი, . ი. სიკვდილით დასჯა გამოყენებული იქნება იმ პირთა მიმართაც, ვინც მსგავსი დანაშაული ჩაიდინეს ამ დეკრეტის გამოქვეყნებამდე. პატარა დეტალი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი მოვლენა საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის.

დაგვიანებული მადლობა:

ეს პატარა ამბავი, ჩემი ძველი ვალის გადახდას რომ მოითხოვს, 25 წლის გამხდარა; მაშასადამე, მას უკვე მეოთხედი საუკუნის ისტორია აქვს...

ხოლო მისი უფრო ადრინდელი ძირი, ნამდვილათ რომ ვსთქვათ, იმდენი ხნისაა, რამდენსაც ჩვენი დროის ქართული ემიგრაცია ითვლის... და ეს ხომ 40 წელს გადასცილებია.

ამ მეოთხედი საუკუნის წინანდელი პატარა ამბავი კი ასეთია: ბერლინში ყოფნისას ერთს, პატარა ქართველ ქალს ვეწვიე. მისი ორ ოთახიანი ბინა და სამზარეულო სუფთათ, გემოვნებით მოწყობილი იყო. ფანჯარასთან, საკერავ მანქანასთან მსხდომი დიასახლისი, თავაუღებლივ მუშაობს და აბრეშუმის მშვენიერ თეთრეულზე კოპწიათ, იშვიათის სიზუსტით და გემოვნებით ჰქარგავს წარმტაცი ფერების ყვავილებს; ხუთი თუ ექვსი ასეთი ფაქიზი ნახელავი უკვე მზადა აქვს და ორი თუ სამიც უნდა სასწრაფოდ მოათაოს. დააუთოოს და დიდ სავაჭრო სახლს ჩააბაროს. იქ მას როგორც წარჩინებულ ხელოსანს, კარგ ფასს უხდიან ამ დიდის ოსტატობით შესრულებულ მუშაობაში და შემდეგში, უფრო დიდის დაკვეთისათვის აჩქარებენ. და პატარა ქართველი ქალი ამ პატარა ბინაში დღე-ღამეს ასწორებს, რათა მეტი ხელფასით უფრო წელგამართული ამოუდგეს გვერდით ქმარს და ასე გაუძლვნენ ყველა მოვალეობას, რომ ამით ქართული ოჯახი, სადაც ახალი ქართული თაობა იზრდება, ღირეულად ატარებდეს თვისს ტრადიციულ და მორალურ შინაარს ამ ლტოლვილობის წლებში. მაგრამ ეს ქალი არა მხოლოდ თავის ოჯახზე ზრუნავს და ფიქრობს, არამედ მას მამულიშვილური წმინდა მოვალეობა მთავარ ამოცანად გაუხდია... თავისი მძიმე შრომით შექუჩებულ გროშებს ის ისე ანაწილებს, რომ ყველაფერს და ყველგან სწვდება. საკმარისია ყურს ჩასწვდეს რომელიმე მამულიშვილის გაჭირვების ამბავი, რომ ის იქ ან თვითონ მიიჭრას, ან ქმარი წარგზავნოს და მორალური, თუ მატერიალური დახმარება გაუწიოს ამ გასაჭირში მყოფს. ეს ხდება უმთავრესად ჩუმად და სწრაფად, რომ გაჭირვებულის სათუთი გრძნობა და ქართული სიამაყე არაფრით შეილახოს...

ამ პატარა ბინაში თქვენ ხშირად ხვდებით ქართველ მოხუცებს, თუ ახალგაზრდებს რომელთაც ჩვენი დიასახლისი სამშობლოს ტკბილ მოგონებებითართობს, ამხნევებს და იქცევს, რომ ლტოლვილობის გაჭირვებული დღეები შეუმსუბუქოს.

და მერმედ რამდენ რამეს ასწრებს ამ პატარა ბინის პატარა დიასახლისი, რომლის დროს ის თავის მუშაობას, ფაქიზ აბრეშუმზე ქარგვას, არ აცდენს: მხოლოდ წუთით, ფრთხილად თუ დასდებს ხელსაქმეს ცალკე პატარა სუფრაზე სადაც მას ათასი ფერი ძაფები უწყვია, და სამზარეულოს მიაშურებს; იქ თავის ქვაბებს და ქოთნებს ათას ქათინაურებს ეუბნება, (ხან კიდევ სტუქსავს) და ამზადებს ქართულ ხარჩოს, თუ საცივს, თუ საგანგებოდ ჰკაზმავს წითელ ლობიოს, რომ სიცილით და ალერსით სტუმარს შეთავაზოს. და იცის, კარგად იცის სტუმარმა, რომ მას აქ დიდი ხანია „სტუმრათ“ არა სთვლიან და რომ მას ეს პატარა დიასახლისი სავსე გულით, და უფრო სავსე სიყვარულით უმზადებს ამ კერძებს, რათა სამშობლოს გემო და სურნელება, ამ შორეულ უცხოეთშიც იგრძნოს; და სტუმარი არც კი ცდილა ამ დროს წასვლას: იცის, რომ ამით პატარა ქალის ქართულ გულს ის აწყენინებს.

ხვალ კიდევ ვინმე, სხვა ქართველი მიიღებს ამ ქართულ ზიარებას პატარა დიასახლისის ხელიდან, მისი მარად მხიარულის ღიმილით და გაშლილის ბუნებით.

ამავე დროს ეს დედობრივი, ქართული ზრუნვა მას არ დაუკლია არც ერთ ავადმყოფ მამულიშვილისთვის, და ხელცახოცში გახვეული თეფშებით, თუ ჯამებით ხშირად მიუტანია მარტოხელ ავადმყოფისათვის მისი საყვარელი კერძი და ის ამ მწოლიარესთვის ნამდვილი და უებარი წამალი გამხდარა, ისევით ამ ქალის ტკბილი ქართული სიტყვა და ზრუნვა...

და ეს პატარა ქალი რა რიგათ ცდილა ყოველ ქართულ საქმისათვის, ქართული ბუდის და კერის გამდიდრებისათვის უცხოეთში; რათა ქართული ღირსება, ნამუსი და პირიანობა, მისი ძველი კულტურის ნაყოფი, ევროპიელს ნათლად დაენახა და უდიერად არსად მოეხსენიებია: და ის ამ ეროვნულ დოვლათის შენახვა-გამოვლინების საქმეშიც ნამდვილ „დიასახლისობას“ იჩენდა, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებაში.

⁂

და იმ ჩემი სტუმრობის დღესაც, ის ისევ ძველებური ხალისით მომეგება, ათასი ამბები მომიყვა და მეც მომაყოლა: ხოლო ამ ხალისიან პაუზებში, ჩემთვის იმერულ კერძის შესაკაზმავათ, ბაასის გაგრძელებით, სამზარეულოს მიაშურებდა და სუფთა წინსაფარს შემოირტყამდა. და იმ დღეს ის ხშირად მელაპარაკობდა და თან მოხერხებულად, ოხუნჯობით, „გადამკრავდა“ ჩემი ახლად გამოსული წიგნის შესახებ: „კარგია, კარგი, ჩემო თამარ; მაგრამ სულ ძველ, წარსულ დროის ქალებზე რომ სწერ, ჩვენ მითომ რა დავაშევეთ?... განა ჩვენ კი არა ვართ კარგი ქართველი ქალები? განა ჩვენ კი არ ვემსახურებით ჩვენ ქვეყანას და საქმეს—რითაც შეგვიძლია? სხვა ასპარეზი დღეს, საუბედუროთ, აღარ მოგვცეს, და რაც მოვალეობა გვაწევს, მგონი ჩვენი ქვეყანა არ შეგვირცხვენია... თუ რას ფიქრობ შენ? მაინცა და მაინც ისტორიული უნდა ვიყოთ, რომ ყურადღება მოგვაქციოთ? გვაცალეთ თუ ერთი ამდენიც მოგვიხდა აქ ყოფნა, იცოცხლე — ჩვენც „ისტორიული“ გავხდეთ და იქნება ჩვენი „გათხრებიც“ მოახდინონ ერთ დროს“...

ასე იტყოდა ეს ქალი ამ მეოთხედი საუკუნის წინ და ამ „ოხუნჯობაში“ ბევრი ჭეშმარიტება მოეთავსებინა ჩვენს „პატარა დიასახლისს“... ამ „ოხუნჯობას“ გემრიელ, ჩვენებურ სუფრაზე ასეთის მოხერხებით ამთავრებდა: „აი, ახლა ჩვენ ვადღეგრძელოთ ჩვენი თამარ“ ეტყოდა დამსწრე შიანურ-გარეშეთ, „ვთხოვთ—ერთხელ ჩვენი ემიგრაციის ქალებსაც გადმოგვხედოს და ვუსურვოთ, რომ მას მეორე სერია ეძღვნას „პატარა სახეებისათვის დიდ ჩარჩოებში“...

ეს ოხუნჯობა სხვებმა მას მოუწონეს, მე კი მან გამაწითლა და თან ჩამაფიქრა.

და აი, მეოთხედი საუკუნის შემდეგ მე ვგრძნობ, რომ ამ „პატარა დიასახლის“ პატარა დავალება შეუსრულებელი დამრჩა და ამის გამო მე მის საფლავს ბერჯერ ვთხოვე პატიება.

ის დიდი ხანია აღარ არის,—დიდმა ფუსფუსმა, დაუსრულებელმა ზრუნვამ და ჯაფამ ადრე გასტეხა. მაგრამ მისი ქართული ბუნება, მისი ქართველი ქალის სიმტკიცე და რწმენა ბოლომდე არ შერყეულა...

ეხლაც, როცა მე მის საფლავს პატიებას ვთხოვ, ის ცოცხლად მიდგას: ძველებურად მოღიმარი, თავაზიანი, გამრჯე, მაღალი მორალის მატარებელი, გამკითხავი, ამტანი, და გამტანი... ნამდვილი „ქართველი დედაკაცი“; და მომაგონდა,—რა რიგ უყვარდა მას ილიას მადლიანი და მარილიანი სიტყვები: ქართველ „დედაკაცებზე“, ქართველ-დედაზე“, „დედა აზრზე“ და „დედა ბოძზე“...

ეს პატარა დიასახლისი, უსამშობლოთ დაშთენილი, ყოველ ქართველს „სამშობლოს უქმნიდა“ და ამით კვებდა და ატკბობდა დიდსა და პატარას...

და განა ის მარტო იდგა? განა თითქმის ყოველი ქართველი ქალი საფრანგეთში, და საერთოთ უცხოეთში გადმოხვეწილი, ასე ბეჯითად არ დასტრიალებდა თავის პატარა კერას? ასე მხნეთ და თან ამაყათ არ უდგას გვერდით თავის მეუღლეს და თავის შვილთ, და არ ხრიდა მათ მუდამ ქართული ტრადიციებისაკენ?

ვინ მოსთვლის, რამდენი შრომა, რამდენი გაჭირვება, შიში, დევნა-დამცირება, შიმშილი და სიცივე აიტანა მან ამ 40 წლის მანძილზე... მაგრამ, აბა, მითხარით, თუ მათ რითიმე და ოდესმე შებღალეს, დაამცირეს, ან შელახეს ქართველი ქალის და დედის ძველი ღირსება?... დაიდეთ გულზე ხელი და სთქვით: განა ცოტას გარგოთ მან ქართული „ძმური ნუგეში“, „ძმური სიტყვა“, კეთილი დახმარება? განა ათას ჭირის დროს არ იყო ის ნამდვილი „ჭირისუფალი?“

და მერე განა ბევრი ჰქონდა მას ამ დევნაში და მწირობაში ამის შესაძლებლობანი?

არა... მაგრამ მას ჰქონდა მდიდარი ქართული გული და მით ის „გვდიასახლისობდა“. ქართულ გემოს, ქართულ მადლიან გამძლეობას და მხნეობას უხვათ გვაფრქვევდა და დღესაც ხომ ქართველი ქალის სიყვარულით და მზრუნველობით გვიშუქებს ის ჩვენი ლტოლვილობის მწარე წლებს: დასტრიალებს, უვლის სნეულთ და დავრდომილთ, ეკლესიას, სასაფლაოს, დიდს და პატარას; საყვარელ სამშობლოს მოგონებას ის ხატათ ჩაუშვებს თვითეულის გულში... „რა უბედური გამხადა ღმერთმა“, შემომჩივლა ერთმა ღირსეულმა და ყველასაგან პატივსაცემელმა, ქართველმა ქალმა ლიოვილში (ამ ქართველთა „სვესვიატსკაში“). „ყველა ჩვენი ავადმყოფთა ჯერ მოვლა-პატრონობა მიხდება და მერმეთ, მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ცხედარის გაპატიოსნება, კუბოში ჩასვენება და დატირება“... და ამას ეს ღირსეული მანდილოსანი კი არ იტყვის, ვისმეს სასაყვედუროთ, არამედ იმიტომ, რომ მან მეტი ვერ შესძლო... უძლური იყო, რომ ეს საშინელი სიკვდილი სხვის მიწაზე, საყვარელ მეზობლისთვის თუ მეგობრისათვის აეცდინა და მწარე გულისტკივილით მისთვის სამუდამოთ უნდა დაეხუჭა თვალები. ეს ქალი აქ ჭეშმარიტი დედაა და პატრონი მათი, ვისაც ბედმა ყველანი ჩამოაცილა და პატრონობა მოაკლო.

და, ვიმეორებ,—ასეთები კიდევ მრავლად გვყავდნენ ამ ლტოლვილობაში და გვყავნან დღესაც: უჩინარნი, ჩუმი და თავდადებული მუშაკნი ქართულის სულით და ქრისტიანულის გამკითხაობით მსვლელნი ამ ეკლიანის გზით და დღეს მაინც მინდა თქვენ ყველას გთხოვოთ: ჩემს „დაგვიანებულ მადლობას მათდამი შემოუერთდეთ“...

⁂

მაგრამ ქართველ ლტოლვილთ ბედმა მარტო სიმწარე როდი არგუნა! ჩვენს გაგრძელებულ აქ ყოფას ზოგი სიტკბო და მადლიც დაემთხვა. ჩვენს მწირულ წლებში ჩართულია ზოგი ფერადი და სურნელოვანი ყვავილები, და ჩვენ აქაც ვდღესასწაულობთ: იუბილეს, დღეობას, ნიშნობას, ქორწილებს და ხშირად ქარულ ეკლესიაშიც...

და ეს დღეები არა მხოლოდ ალამაზებენ ჩვენს მწარე ყოფას, არამედ მას ქართულ ძველებურ იერს და ბუნებას უნახავენ.

აი, წინ მიდევს პარიზში ეხლახან გამართული ნამდვილი ეროვნული დღესასწაულის, ჩვენი 26 მაისის, დიდის წარმატებით ჩატარებული, საღამოს ანგარიში. ეს ცნობა ჩვენ მშობლიურის სიტკბოებით გვავსებს... მოგვესმის იქედან ქართულ ახალთაობის წარმტაცი ხმები: „დიდება“, „იავნანა“ და სხვა, ვხედავთ ამ ლამაზ ქალ-ვაჟთ ეროვნულ ტანსაცმელში „ქართულს“ რომ უვლიან, და ჩვენის მგოსნების ლექსებით რომ მეტყველებენ...

და ყველაფერი ეს დიდ სიამესთან, დიდ იმედს ბადებს, რომ გზა ჩვენის დიდებისა ღირსეულად გრძელდება...

აქაც ხომ შენი მოსიყვარულე და მადლიანი ხელი სჩანს... კურთხეულ იყოს ეგ შენი ხელი, ქართველო დედავ. გადმოხვეწილობაშიც, რომ ასე ერთგულად ზრდის და დარაჯობს ქართულ სულს...

ჭეშმარიტად, სამშობლოს გარეთ ამ 40 წ. შემდეგ—

„რა დიდი ღამე გასულა
შენ კი სძილ-ფხიზლობ კერაზე,
ეგ შენი გლოვა უფალმა,
ვთხოვე, შეგიცვალოს მღერაზე“...

(ვაჟა)

თამარ პაპავა.

ძველი რუსული ფანდები ახალ სამოსელში.

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე).

ერის ისტორიული ტრადიციებისათვის შეუფერებელი რეჟიმი გააბატონა. ჩვენ რუსეთს არასოდეს არ ვაპატიებთ, რომ ქართველი ერის, ქართველი ხალხის სულიერ თუ ტექნიკური საუნჯით ამდიდრებს რუსულ სალაროს. არც იმას ვაპატიებთ, რომ საქართველოს სასიცოცხლო ძალებსა და ქართული ეროვნული უკვდავების ძირებს სპობს და ანადგურებს. ამგვარად თუ „პატიებაზე“ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ქართველმა ერმა და მისმა ემიგრაციამ უნდა აპატიოს რუსეთს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბოროტმოქმედებანი, რომელსაც რუსეთი საუკუნენახევრის განმავლობაში სჩადის საქართველოს მიმართ

მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც საინტერესოა ვიცოდეთ თუ ვინ, ან რა წარმოშობის ხალხია ეს „დაბრუნებულები“, რომლებიც ასე გაბედულათ მოგვიწოდებენ მივბაძოთ მათ მაგალითს? ან ის თითო ოროლა ქართველი, რომლებიც მალულად თუ ახდილად, ამგვარ განწყობილებას ამხნევებს, აქეზებს და „სამშობლოს პეიზაჟების“ ნახვის სიყვარულით კავშირს აბავს ბოლშევიკურ დაწესებულებებთან, რომლებსაც, ყველას ერთად აღებულს, რუსული ბოლშევიზმის ქართულ ემიგრაციაზე თავდასხმის ორგანო „სამშობლოს ხმა“-მ „ჭეშმარიტი ქართველები“ შეარქვა?

მ. სინდიკელი.

საინტერესოა რამ აიძულა „ლიბერალური“ საბჭოთა რეჟიმი, რომ ასეთი სასტიკი ნაბიჯი გადაედგა? საბჭოთა მოსახლეობის ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაიბადა, გაიზარდა და დავაჟკაცდა „ოქტომბრის დიდი რევოლუციის მცხუნვარე“ მზის ქვეშ, სოციალისტური სამოთხის დოგმითა და კომუნისტური პარტიის უშუალო მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. ამ საზოგადოებისათვის უცხო უნდა ყოფილიყო კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი „ცოდვები“: ოჯახის სიყვარული თავისუფალი ინიციატივა, კერძო საკუთრებისადმი მიდრეკილება და ა. შ. კომუნისტური იდეოლოგები ყოველთვის ქადაგობენ, რომ ქურდობა, ყაჩაღობა და მძარცველობა კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი თვისებაა. როგორც სჩანს 45 წლიწადი არა ყოფილა საკმარისი საბჭოთა მოსახლეობის „კაპიტალისტური სენიდან“ განკურნებისათვის. მეორეს მხრივ ჩვენნაირმა ურწმუნო თომამ შეიძლება ისიც დაასკვნას, რომ პირიქით, საბჭოთა სისტემა სტიმულის მიმცემი გამოდგა „ანტისოციალური აქტივობის“ გასაფართოვებლად და ნიკიტას სამფლობელო ისე გაიჟღენთა საკუთარი წარმოების ქურდ-ბაცაცებით, ავაზაკებით, ყაჩაღებით, ჯიბგირებით, ხულიგნებით და ა. შ. რომ „ანტისტალინელი“ ხრუშჩოვი იძულებული გახდა სტალინის საყვარელ მეთოდისათვის—სიკვდილით დასჯისათვის—მიემართა.

რამდენათ მართალი ყოფილა რუსთაველი, როცა „ვეფხის ტყაოსანში“ ადგილი დაუთმო ამ უკვდავ სტრიქონებს: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი“...

ავყია.

დასავლეთი, აღმოსავლეთი და გერმანია.

მრავალ პრობლემათა შორის, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთ ბლოკებს ერთი მეორისაგან ანსხვავებს და მათ შორის შეთანხმებას აპრკოლებს—გერმანიის საკითხია.

დასავლეთ გერმანიის მთავრობის თავმჯდომარე ადენაუერმა მრავალგზით დაამტკიცა, რომ ის დასავლეთის ბლოკის გულწრფელი მოკავშირეა. ამ გარემოებას მეტად აფასებდა და პატივსა სცემდა გენ. აიზენჰაუერი, რომელმაც თავის საკუთარ ტყავზე გამოსცადა გერმანელი მხედრობის მაღალუნარიანობა. რამდენათაც მეტად ამჟღავნებდა რუსეთი თავის იმპერიალისტურ ზრახვებს, იმდენათ მეტად ფასდებოდა დასავლეთის ბლოკში გერმანიის ყოფნა. გერმანია იყო და დარჩა ის რეალური ძალა, და დასავლეთის ბლოკში ერთი მთავართაგანი, რომელმაც არა მარტო უნდა შეაჩეროს რუსული ექსპანსია, არამედ ის კიდეც უნდა ალაგმოს და თავის ბუნაგში ჩაკეტოს. ამას თავისი ისტორიული ახსნა და თავისი ღრმა შინაარსიც აქვს. ცხადია, რომელსაც ძნელად გაიგებს ადამიანი, თუ ხალხი, რომლებისთვისაც ისტორია რომანისებურად წასაკითხი, გასართობი თხზულებაა და არა ზედმიწევნით შესასწავლი საგანი, რომლის ლოღიკური დასკვნებით უნდა იხელმძღვანელოს კაცმა ყოველდღიურ პრაქტიკულ პოლიტიკაში.

დროთა ვითარებაში აიზენჰაუერის ბონისადმი გულწრფელი ნდობა და მისი მხედრობის მაღალი დაფასება შეიცვალა. პრეზიდენტმა კენედიმ გადასწყვიტა უშუალოთ მოურიგდეს ხრუშჩოვს „სამართლიანი ზავისა და მშვიდობიანობის“ საფუძველზე. მიუხედავათ იმისა, რომ კენედიმ მრავალჯერ დაამტკიცა, და ეს წითელ ზოლათა სდევს მის მოქმედებას, რომ ის რუსულ მუქარას და შანტაჟს არ გაჰყვება და არაფერს დასთმობს, მაინც ისიც ნათელია, რომ მას არა სურს ბონის „ატეხილობას“ გაჰყვეს და მისი „ხელისშემშლელობა“ გაიზიაროს. პრეზიდენტ კენედის, სჩანს აღიზიანებს ბონის „ზედმეტი სიფრთხილე“ რუსეთის მიმართ და საბჭოეთთან მოლაპარაკების დროს ადენაუერის „მრავალპირობიანი“ თავდაჭერა, რომლის გაყოლებაზედაც საჭირო იქნება ბონის სამხედრო ძალების კვლავ გაძლიერება და დასავლეთ გერმანიის რესპუბლიკის საკუთარ ფეხზე დადგომა. სჩანს კენედის გერმანული სამხედრო ძალა უფრო ევროპიული თავდაცვის ორგანიზაციის გასაძლიერებლად აინტერესებს, ვიდრე ბონის რესპუბლიკის გამოსაყენებლად. ეჭვი არ არის გერმანია-რუსეთის ისტორიული ურთიერთობა, მათი ეროვნული ინტერესების მარადიული დაპირისპირება, ამ ნიადაგზე წარმოშობილი სამხედრო კონფლიქტები ადენაუერის მაღალ უნარიან პოლიტიკაზე გავლენას მოახდენს და თავის დასავლეთის მოკავშირეებს კიდეც გულწრფელად გააფრთხილებს. ეს გარემოება ადენაუერის პიროვნებას ერთგვარ შეღავათიანობის და კომპრომისული მოღვაწის სახელს უქმნის, რაც თავის მიმდევრებში, თანდათანობით ნდობას უკარგავს და მის პრესტიჟს სცემს. საფიქრებელია, რომ ადენაუერის შეღავათიანობის დიპლომატიამ გაზარდა მისი თავდაცვის მინისტრის სახელი და მას შეუქმნა გერმანიის სამხედრო ძლიერების სიმბოლოს მითი. დასავლეთ გერმანიის სამხედრო წრეებში არსებული „რევანშისტების“ რწმენით ფრანც-ჯოზეფ შტრაუსია ის პიროვნება, რომელმაც უნდა აღადგინოს გერმანიის ტერიტორიალური ერთობა, მისი ხალხის ორგანი-

ული მთლიანობა და მისი სამხედრო ძლიერების პრესტიჟი. თუ რამდენათ ამართლებს შტრაუსი „რევანშისტების“ იმედს, ან რამდენათ შტრაუსი „რევანშისტების“ თავითა ფიქრობს, ეს მათი შინაური საქმეა. ზავისა და მშვიდობიანობით დაინტერესებულ სამყაროს მოვალეება კი ის არის, რომ სინამდვილე დროზე შეიმცნოს, მას თვალი-თვალში გაუყაროს და, ვიდრე გვიან არ არის, „შეღავათიანი პოლიტიკის მიმდევრები გააძლიერონ და მათი სახელი ნდობით და პრესტიჟით შემოსონ.

სულ ახლო წარსულის ისტორია გვასწავლის რომ ამგვარმა უყურადღებობამ წარმოშვა და გააძლიერა ჰიტლერი, და მაშინაც კი, როცა ეს ნათელი იყო, დასავლეთმა არაფერი არ გააკეთა, რათა გერმანული დემოკრატიული ძალები გაერთიანებულიყვნენ და გაძლიერებულიყვნენ. ამის საბედისწერო შედეგებს კაცობრიობა დღესაც იმკის. გერმანიის მაღალი ეროვნული შეგნება, მისი დიდი ეროვნული ამბიცია და თავმოყვარეობა, მისი ბრძოლისა და შრომის სანიმუშო უნარი დიდ ხანს ვეღარ აიტანს ბერლინში აღმართულ კედელს და ვერც იმას რომ 17 მილიონი თანამემამულე „ვანკას“ მონათა ჰყავდეს და ის რუსულ იმპერიალიზმს ამსახუროს.

დასავლეთის პოლიტიკის მეთაურებმა ამას უნდა გაუწიონ ანგარიში, რადგან ჩვენ აქ გვეგულება ის ნაღმი, რომელიც თუ აფეთქდა, მსოფლიოს ახალ ტყვია-ლითონს დაადუღებს და არა ლაზღანდარა ხრუშჩოვის ლაზღანდარულ მუქარაში.

ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ გაუტანელი და ორპირი რუსი დიპლომატები მრავალ გზით შეეცდებიან დასავლეთის „გაცურებას“. ისიც წარმოგვიდგენია, რომ კვლავ გამოჩნდები ან ჰარიმანები, რომლებიც—ზავისა და მშვიდობიანობის—სიყვარულით თავის მთავრობას ურჩევენ გერმანიაში „ეროვნული გაერთიანების“ „დამოუკიდებელი და ნეიტრალური“ მთავრობის შექმნას.

როგორც ლაოსში, ცხადია რუსები აქაც მოითხოვენ გერმანიიდან უცხო ჯარის გაყვანას. თავის ჯარს აღმოსავლეთ პრუსიაში (როგორც დღევანდელ პოლონეთის ტერიტორია) გააჩერებენ, ხოლო ამერიკული კი ატლანტიკს უნდა გადმოსცილდეს!!!

ასეთია ზოგი დასავლეთელი მოღვაწის პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა!

ამის მნახველი გერმანია, ცხადია იძულებული გახდება უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს და რუსეთ-დასავლეთთან მოლაპარაკებაში უფრო აქტიურობა მოინდომოს. ეს მით უმეტეს, რომ სწორედ მათ ეხებათ საკითხი და დასავლეთელი მოღვაწეები კი ისტორიის მწარე გაკვეთილებს არ სცნობენ და მას ანგარიში არ უწევენ.

ამგვარმა გაუთვალისწინებლობამ შესაძლებელია ბონი უკიდურესობაშიც გადააგდოს.

ნიკიტას ლაზღანდარა ბუნებიდან მოველით, რომ თუ მან შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვერ შეაცდინა და თავის სასარგებლო შეთანხმებაზე ვერ დაიყოლია, ვერც ჰარიმან-როსტოვის მსგავსმა მრჩევლებმა შესცვალეს კენედის პოზიცია—ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ რუსულმა დიპლომატიამ უშუალოდ მიმართოს ბონს და არა მარტო აღუთქვას, არამედ კიდეც დააკმაყოფილოს „რევანშისტების“ გუნებ-განწყობილება და მას ტერიტორიალურ სიმთელესთან ერთად „დაკარგული ტერიტორიებიც“ დაუბრუნოს. ამ შემთხვევაში ადენაურისებური „შეღავათიანი“ და დასავლეთის გულწრფელი მოკავშირენი დაკარგავენ თავის მოსახლეობის ნდობას და ქვეყანას უკიდურესად მოაზროვნეები დაეპატრონებიან.

ამის მსგავსი მაგალითები ისევ ახლო წარსულში უნდა ვეძიოთ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებულ მოკავშირეთა პოლიტიკური სიბეცით გერმანია იძულებული იყო წითელ რუსეთს დაახლოვებოდა. 1922 წ. სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა და დამარცხებული გარმანიის მინისტრმა ვოლტერ რატენაუმ ორივე მხარისათვის მეტად ხელსაყრელ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც მხოლოდ ჰიტლერმა დაარღვია 1935 წ. ამას თან მოჰყვა რიბენტროპ-მოლოტოვის შეთანხმება 1939 წლის აგვისტოში. როგორც ისტორია გვასწავლის ძვირათ დაუჯდა კაცობრიობას ეს რუსულ-გერმანული ქორწინება.

ამბობენ, ორი უმესამოთ არ არისო. ამგვარი ლოღიკით შეიძლება წარმოვიდგინოთ ახალი რუსულ-გერმანული შეუღლება. თუ კი დასავლეთ გერმანიას გული აუცრუვდა დასავლეთის პოლიტიკაზე და იმედი დაკარგა, რომ მათი შემყურე კვლავ აღსდგება გერმანელი ხალხი მთლიანი და ერთობილი.

რუსებისათვის ამის დაკმაყოფილება ადვილი იქნება. ნიკიტას ერთის ხელის მოსმით შეუძლიან გააუქმოს პანკოვის რესპუბლიკა და თუ საჭირო იქმნა ასევე უმტკივნეულოდ დაუბრუნოს გერმანიას პოლონეთს მიკუთვნებული ტერიტორია. საფასურში კი მას შეუძლიან მიიღოს ეროვნულად და ტერიტორიალურად გაერთიანებული, მაგრამ „ნეიტრალური“ გერმანია.

ეს კი რუსული დიპლომატიის მარადიული ცდა იყო და არის, რათა რომელიმე საშუალებით დაშალოს და დაარღვიოს ევროპიული თავდაცვის ორგანიზაცია და მის წევრთა შორის უნდობლობა, შური და მტრობა გაბატონოს.

დასავლეთის პირველი და გადაუდებელი ამოცანაა ამ ხაფანგში თავი არ შერგას და გერმანია „ზავისა და მშვიდობიანობის“ სიყვარულით რუსულ ორბიტში არ გადაჩეხოს.

დონი.

ორ თავა და ორ პირა ხრუშჩოვი.

გასული წლის დეკემბრის 25-ს „პრავდამ“ გამოაქვეყნა ხრუშჩოვის მოხსენება, რომელიც მას გაუკეთებია კიევში უკრაინელ ფარმერების ყრილობაზე.

ხრუშჩოვი აქ გვევლინება ნამდვილ სტალინად, ხოლო იმ პერიოდის, როცა სოსო ჯერ კიდევ „ხალხთა მამათ“ და „შეუმცდარ მასწავლებლად“ არ იყო აღიარებული. ამ პერიოდის სტალინი თვინიერი ლომივით ტრიალებდა რუსეთის სახელმწიფო და პარტიული ცხოვრების სხვადასხვა დარგში და ერთის დატუქსვით იძენდა მრავალის სიმპატიას. შემდეგ კი სიმპატიზანების დახმარებით დატუქსულები მოსპო; ახალი სიმპატიზანების დახმარებით ძველები და ასე დაუსრულებლივ ვიდრე თვით არ ამოხდა სული, რათა მის უახლოეს სიმპატიზან ხრუშჩოვს მისი ძვლები სამარედან მოეთხარა და მისი ფერფლი განაწამებ ხალხისათვის თვალებში შეეყარა მათი ხელახლად დასაბრმავებლად და დასამონებლად.

აღნიშნულ ყრილობაზე ხრუშჩოვმა გაკიცხა და ხალხის მტრად გამოაცხადა უკრაინის აგრიკულტურული აკადემიის პრეზიდენტი ვლასიუკი. ვლასიუკს ბრალი დაედო, რომ მან დროზე ვერ გაითვალისწინა პარტიის დავალების განუხორციელებლობა და ის, როგორც მლიქვნელი და შემძრომი“ ცდილობდა შეუძლებელის შესაძლებლად ქცევას, რამაც სინამდვილეში „სავალალო შედეგი მოგვცა“-ო.

რათა მიწათმოქმედების მეურნეობის ჩაფუშვა, სტალინური წესით, პიროვნებას დააბრალოს და ამით ახალი სიმპატიზანები გაიჩინოს—ხრუშჩოვი ხმა მაღლა აცხადებს, რომ „შეცდომის დაშვება მასაც შეუძლიან და მის პარტიასაც“. მეცნიერების მოვალეობაა ეს დროზე სთქვან და არა საქმის გაფუჭების შემდეგ მსგავსად ვლასიუკისაო.

ხრუშჩოვის განცხადება, რომ საბჭოთა მეცნიერებმა გულწრფელად მიიღონ, აქედან იშლება კომუნიზმის დასანგრეველი პერსპექტივა. უპირველეს ყოვლისა ყოველ ეკონომისტ (და თვით საბჭოელსაც) ადვილათ შეუძლიან დაამტკიცოს, რომ საბჭოეთში გაბატონებული ეკონომიური კრიზისი ვლასიუკის, ან ვლასიუკების „შემძრომი“ პოლიტიკის კი არა, თვით კომუნიზმის ძირითად პრინციპებიდან გამომდინარეობს.

დღეს უბრალო მეთვალყურისთვისაც ნათელია, რომ ცხოვრება და კაპიტალიზმი სულ სხვა მიმართულებით განვითარდა, ვიდრე ეს თავის დროზე მარქსმა და შემდეგ ლენინმა გაითვალისწინა და ამ იდეოლოგიურათ დამარცხებულ პრინციპზე დაშენებული მეურნეობა იძლევა უარყოფით შედეგებს. ამას ვლასიუკების გაკიცხვა და დატუქსვა არ უშველის არამედ საჭირო იქნება საბჭოთა მეცნიერებამ ხრუშჩოვს მოსთხოვოს გაკოტრებულ იდეოლოგიაზე ხელი აიღოს და ნორმალურ კერძო ინიციატივის პრინციპზე გადავიდეს. ეს კი გამოიწვევს არა მარტო ერთი ვლასიუკის, არამედ ყველა ვლასიუკების, ე. ი. მთელი საბჭოთა მეცნიერების დატუქსვას და განადგურებას, რაც მწარე გამოცდილებით იციან საბჭოეთში და რის გამოც დუმილს არჩევენ და „შემძრომის პოლიტიკას“

როგორ მოექცევა ხრუშჩოვი საბჭოთა ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს და ინჟინრებს, რომ მათ სამართლიანად განუცხადონ: არც მარქსმა და არც ლენინმა არაფერი იცოდნენ მოდერნული მეცნიერების შესახებ და ამიტომ არ შეიძლება მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენები დიალქტური მატერიალიზმის პრინციპს და სხვა პარტიულ დოქტრინებს დაუმორჩილოთო? ცხაიდია, ხრუშჩოვის პასუხი სტალინური მრისხანება იქნება.

საბჭოთა სტატისტიკოსებს დოკუმენტალურად შეუძლიანთ დაუმტკიცონ ხრუშჩოვს, რომ ასე ძვირად დმჯდარი „ყამირი მიწების“ პროგრამა მისი უვიცობის და უგუნურობის წყალობაა და მომავალში მაინც თავი შეიკავოს მეტიჩრობისგან და სპეციალისტებს მიანდოს საკითხების გადაწყვეტა. არა გვგონია, რომ „ხალხთა მამის“ სტალინის მემკვიდრემ ამისთანა გაბედული მეცნიერი დააჯილდოვოს და ამიტომ კიდეც არავინ ბედავს მართალი სიტყვის თქმას. საბჭოეთში ყველამ იცის, რომ ხრუშჩოვის განცხადება, რომ მას და მის პარტიასაც შეუძლიან შეცდომის დაშვება და მეცნიერების მოვალეობაა ეს დროზე მიუთითონ—ნათქვამი იყო მხოლოდ „ამხანაგ ვლასიუკის“ დასჯის ასახსნელად და გასამართლებლად. ამის გარეშე ხრუშჩოვი დარწმუნებულია თავის შეუმცდარობაში და მას არც ერთი მეცნიერის მითითება არა სჭირდება. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ნიკიტას მეორე გამოსვლა ბელორუსიაში, უკრაინაში ვლასიუკის დასჯის სულ ერთი თვის შემდეგ.

სჩანს ერთი თვის განმავლობაში ხრუშჩოვმა მეორე თავი გამოიბა და დაავიწყდა თუ რა განაცხადა უკრაინაში და ბელორუსიის აგრიკულტურულ ყრილობაზე მან მოითხოვა ბალახისა და კართოფილის ნაცვლად, ამ მიწებზე შაქრის ჭარხლის, მუხუდოს, ლობიოს და სხვა მაღალ „პროტეინის“ მქონე მეურნეობის წარმოება.

მან მკაცრად განაცხადა: ვინც ამ გეგმას ეწინაალმდეგება სასტიკად სცდება. არ არის საჭიროდებულო უცვლელათ დავტოვოთ ის მეურნეობა, რომელსაც ჩვენი მამა-პაპა ეწეოდაო“. როგორც ვხედავთ აქ ხრუშჩოვი კვლავ შეუმცდარი მასწავლებლის როლში გამოდის და არამც თუ მეცნიერებს არ ეკითხება რამეს, არამედ მკაცრად ილაშქრებს მათ წინააღმდეგ, რომლებიც კრიტიკულად შეხვდებიან „ყამირი მიწების“ ავტორის ამ ახალ სამეურნეო მითითებებს.

ნიკიტამ დამამცირებელი ირონიით გადასძახა ბელორუსიელ მეცნიერებს: კაბინეტში ჯდომის მაგიერ უკეთესი იქნება თქვენი დროის ერთი ნაწილი მაინც ფარმებში გაატაროთ და გამოარკვიოთ თუ ძროხები რა მდგომარეობაში არიან და „ვის უჭერენ მხარსაო“. ხოლო თუ ბელორუსიის აღნიშნულ მიწაზე ლობიომ და მუხუდომ არ იხარა და ნიკიტას მოლოდინი არ გაუმართლდა, მომავალ წელს „ბელორუსიის ვლასიუკიც“ დაისჯება, რადგან „ხომ შეიძლება ხრუშჩოვი და მისი პარტია შესცდეს“ და რატომ წინასწარ არ ითვალისწინებენ მეცნიერები და არ მიუთითებენ ხრუშჩოვს და მის პარტიას?!

ხოლო დღეს, ხრუშჩოვის მიერ მეძროხეთ ქცეული მეცნიერები ისევე იდუმალი მძულვარებით მიიღებენ ხრუშჩოვის მიერ „ბელორუსიის ვლასიუკის“ დასჯას, როგორი იდუმალი მძულვარებითაც მიიღეს და დაუმოწმეს ნიკიტას უკრაინელი ვლასიუკის გაკიცხვა უკრაინელმა მეცნიერებმა.

ისტორია გვასწავლის, რომ რაც დაწყებულა, კიდეც უნდა დასრულდეს. დასრულდა მტარვალი სტალინის ეპოქა და მისმა ლაქია ხრუშჩოვმა მისი ძვლებიც კი ამოყარა საფლავიდან. **დასრულდება ორ თავა და ორ პირა ხრუშჩოვის ერაც და, არა ვფიქრობთ, რომ მისმა მე**მკვიდრეებმა მას უკვდავების ძეგლი დაუდგან ასევე დასრულდება რუსულ დესპოტიური თვითმპყრობელური რეჟიმი და დღეს მონათ ქცეულ საბჭოთა მოქალაქის მეხსიერებაში ეს ეპოქა დარჩება წყევლა-კრულვით მოსაგონარი.

ირ. მენთეშაშვილი.

იქაური და აქაური

პირველი სამოთხიდან-მეორე სამოთხეში.

ანასტას მიქოიანმა მაროკოში მოგზაურობის დროს ქ. რაბატის დატოვებისას ჟურნალისტებს განუცხადა: „მაროკო ამ ქვეყნად მეორე სამოთხეაო“. (იგულისხმეთ, რომ პირველი სამოთხე საბჭოთა კავშირია) ეს სიტყვები ალბათ კარგად გაიგეს და დაიხსომეს გემი „ფრიც ჰეკერტის“ მგზავრებმა. თანაც დაამტკიცეს, რომ გერმანელები მეტად პრაქტიკული ხალხია, რადგან პირველსავე მოხერხებულ შემთხვევაში, ის თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხალხი მათი „სოციალისტური სამშობლოს“ საიმედო, ერთგული და რჩეულ შვილებათ მიჩნეული, მრავალ გზით ცხრილში და საცერში გატარებული იყვნენ, უამისოდ ხომ ისინი აღნიშნული გემის ბაქანზე ვერ მოხვდებოდნენ? გემი „ფრიც ჰეკერტი“ გავიდა აღმოსავლეთ გერმანიის ბალტიის ნავთსადგურ როსტოკიდან, ახალწლის ღამეს. ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში საექსკურსიო მგზავრობისათვის, დატვირთული 350 ყოველ ეჭვ გარეშე მყოფ „ღირსეული და დამსახურებული“ აღ. გერმანელი კომუნისტებით.

პირველი ნავთსადგური, სადაც ექსკურსანტებს მიწაზე ფეხის დადგმის უფლება მიეცათ იყო კაზაბლანკა (მაროკო), სადაც სრულიად მოულოდნელად ეს საინტერესო საექსკურსიო მგზავრობა შეწყდა. გემის ბაქნიდან ჩამოსული მგზავრების რიცხვიდან ოთხმოცი ექსკურსანტი უკან აღარ დაბრუნდა და აღმოჩნდნენ ახალი პასპორტების მთხოვნელებათ დასავლეთ გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის საკონსულოში, რომელმაც მათი თხოვნა დააკმაყოფილა. „ფრიც ჰეკერტის“ კაპიტანი კი იმის შიშით, რომ შემდეგ ნავთსადგურში—კონაკრიში—მის გემზე მგზავრი აღარ დარჩებოდა იძულებული გახდა უკან, ბალტიის ნაპირებისკენ ებრუნა პირი.

აღ. გერმანიის კომუნისტური მთავრობა და მთელი კომუნისტური პრესა, რომელიც ამ ექსკურსიის შესახებ დასაწყისში ბევრს ლაპარაკობდა—მის შემდეგ განვითარებაზე და მგზავრობის მოულოდნელ დასასრულზე სდუმს, ადვილათ ასახსნელი მიზეზების გამო. თავისუფალ მსოფლიოს პრესას კი, რასაკვირველია ოთხმოცი აღ. გერმანელი კომუნისტის მიერ ქვეშევრდომობის, რწმენის და მგზავრობის გეზის დიამეტრალურად შეცვლა შეუმჩნეველი არ დარჩა.

აი როგორი „არა სასურველი“ შედეგები მოსდევს ხოლმე საბჭოთა ბელადების მიერ დაუფიქრებლად წამოსროლილ სიტყვებს.

2. ამის მსგავსი და კიდევ უარესიც დაემართა ა. წ. თებერვალში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საექსკურსიო სამგზავრო გემს „ბატორი“-ს. უარესი იმიტომ, რომ მის იმ რეისს, რომელზედაც ქვევით გვაქვს ლაპარაკი პოლონეთში წინასწარ „თავისუფლების მგზავრობა“ დაარქვეს. სინამდვილეში კი ის გადაიქცა „მგზავრობათ თავისუფლებისაკენ“, რადგან ამ გემის ექსკურსანტების რიგები ყოველ კაპიტალისტურ ნავთსადგურში შეჩერების დროს შესამჩნევად თხელდებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ აქაც ამ „საამური“ მგზავრობის მონაწილენი იყვნენ ღირსეული და ფრიად საიმედო პირები“—დიდი სიფრთხილით შერჩეულ-გადარჩეულნი.

„ბატორის“ ლონდონში შეჩერების დროს ოცდაოთხი ექსკურსანტი სადღაც გაქრა. აქაც განგაში—გამოძახება გვარებით და უკან გაბრუნების ბრძანება. კოპენჰაგენში მცირე შეჩერებით, აქ კი დილის გამოძახილზე 11 მგზავრი პასუხს აღარ იძლეოდა. გაჩერების პირველსავე წუთებში, ღამით, თვალსა და ხელს შუა თხვევბივით გამძვრალიყვნენ. გამოირკვა რომ პოლონელებს ინგლისის და დანიის მეფის მთავრობებისთვის ეთხოვათ თავშესაფარი. აღ. გერმანელებს კი დას. გერმანიის საელჩოში შეეფარებინათ თავი, აღმოსავლეთიდან დასავლეთში მგზავრობის „გასაფორმებლად“

ეს მგზავრობა მატერიალურად „ჩაფლავდა“, რადგან უდროოთ შეწყვეტილი ექსკურსიის „გადარჩენილ“ მონაწილეებს ბილეთების ფული „ნაწილობრივ“ უკან დაუბრუნეს, მორალურად კი ნუღარ იკითხავთ.

გემი „ბატორი“ ცნობილია იმით, რომ ის არის ერთი საუკეთესო სამგზავრო საექსკურსიო გემი ომის შემდეგ გერმანიას ჩამორთმეული და პოლონეთისთვის გადაცემული. მას სისტემატიურად მიჰყავს „კაპიტალისტურ“ ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში ექსკურსანტები. ევროპის და ამერიკის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით მათ მისაპატიჟებელ რეკლამა-მოწოდებებს. ექსკურსანტებიც მრავლათ მიდიან. (უმეტეს ნაწილად ესენი არიან რუსეთის წინანდელი იმპერიიდან გამოსული ემიგრანტების შვილები და შვილიშვილები) 540 დოლარათ ორპირი მგზავრობა, 300 გირვანქა ბარგის ჩათვლით არ არის ძვირი მამა პაპათა სამშობლოს გასაცნობად! მიდიან და უკან ბრუნდებიან. იქ არავინ არ რჩება. იქიდან წამოსულები კი, როგორც ვნახეთ, სულ იმას ფიქრობენ, თუ როგორ გაიპარნენ და როგორ მოახერხონ „საბჭოთა სამოთხეში“ უკან გაბრუნების თავიდან აცდენა. რუსული ანდაზაა: „საამურ ცხოვრებას კაცი არ გაექცევაო“ საკვირველია რათ სტოვებს ეს ხალხი ყველას და ყველაფერს და რათ გარბის სამოთხიდან ჯოჯოხეთში?

3. ა. წ. მარტის 22-ს ლონდონის ნავთსადგურში გდანსკიდან (პოლონეთი) მოსულ გემი „იაროსლავ ბობროვსკის „სკორეში“ აღმოაჩინეს სამი „უბილეთო“ მაზუთში ამოსვრილი, ღონემიხდილი პოლონელი, რომლებსაც რამოდენიმე დღე გაეტარებინათ უძრავათ და უხმელ-უსმელად. „მგზავრებმა“ როდესაც სული მოიბრუნეს და გაიგეს, რომ ლონდონის ნავთსადგურში იმყოფებოდნენ,მუხლებზე დაეცნენ და ითხოვეს პოლიტიკური თავშესაფარი.

ბიბლიოგრაფიის მაგიერ.

„ქართული ენის სახემლძღვანელო გერმანულად“. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა შ. შათირაშვილმა ამ სათაურით გამოაქვეყნა ჩვენი თანამემამულის კ. ჩხენკელის შრომის გარჩევა (იხ. სკოლა და ცხოვრება №6 ტფილისი, 1961 წ.) დამსახურებული მეცნიერის აზრით „ეს წიგნი მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. იგი შესდგება ორი ტომისაგან: თითოული მათგანი ექვსასზე მეტ გვერდს შეიცავს. როგორც თვით ავტორი შენიშნავს, წიგნის ძირითადი დანიშნულებაა დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს ქართული ენის შესწავლაში. პირველი ტომი წარმოადგენს თეორიულ ნაწილს, მეორეში კი მოცემულია სავარჯიშოები და ქრესტომატია.

„წიგნის ავტორი ძირითადათ ემყარება თანამედროვე ქართველი ენათმეცნიერების შრომებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შეიმჩნევა რომ, სამწუხაროდ, მას ვერ უსარგებლია უახლოესი გამოკვლევებით ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის საკითხებზე; მათი გათვალისწინება კი, უეჭველია, წიგნს დიდ სარგებლობას მოუტანდა“.

შემდეგ ქართველი ენათმეცნიერი სპეციალისტისთვის საგულისხმო ყურადღებით არჩევს კ. ჩხენკელის შრომას და ასკვნის: „მიუხედავათ ზემო თქმულისა კ. ჩხენკელის

GEORGISH — DEUTSCHES WÖRTERBUCH

წარმოადგენს საქმის ცოდნითა და სიყვარულით შესრულებულ ნაშრომს. იგი ჩვენის აზრით, დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს, არამედ ბევრ რაიმეში დაეხმარება აგრეთვე გერმანულის შემსწავლელ ქართველებსაც“-ო.

ჩვენ სიხარულით ვაწვდით მკითხველ საზოგადოებას ქართველი ენათმეცნიერის მიერ გამოთქმულ აზრის ერთ ნაკვეთს, რომელიც კ. ჩხენკელისთვის უდიდესი ჯილდოა, მის მიერ ემიგრანტულ სიდუხჭირეში გაწეული შრომის გამო.

მაგრამ, ამასთან ერთად არ შეგვიძლიან გვერდი აუხვიოთ და ჩვენი გაკვირვება ა რ გამოვთქვად იმის გამო, რაც კ. ჩხენკელმა ამ ორ ტომიან საუკეთესო ნაშრომს თან მოაყოლა.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი:

„Einführung in die Georgische Sprache”.

ამ მეტად სერიოზულ და სასარგებლო შრომის შემდეგ, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ კ. ჩხენკელმა, თავის ლექსიკონში უნებურათ და უცოდინრად შეიტანა ზოგიერთი სიტყვები

შეუძლებელია ვიფიქროთ, თითქოს კ. ჩხენკელმა არ იცის, რომ „იავოლ, მაინ ჰერ“-ის ქართული შესატყვისი არ არის „ბალი-ალა“ და ამის მსგავსი სიტყვა ქართულ ენაში არ მოიძებნება. ან რომ „იუნგერ ჰაზე“ ქართულად არის ბაჭია. არც ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, თითქოს კ. ჩხენკელმა არ იცოდეს, რომ „ბუნტი“, „ბალკონი“ და მსგავსი სიტყვები ქართულში არ იხმარება. მითუმეტეს უსათუოდ იცის რომ „შვახეს“ ქართული შესატყვისი მხოლოდ სუსტია და სხ...

სამწუხაროთ მსგავსი „ალრეულობანით“ საცსეა კ. ჩხენკელის ლექსიკონი. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება და დარწმუნებული ვართ ბ-ნ ჩხენკელს ამისთვის რაიმე სერიოზული მოსაზრება ექნება, მაგრამ რომელი?

უკეთესი იქნება თვით ბატონმა კ. ჩხანკელმა გასცეს ამ კითხვას პასუხი.

მეგობარი.

როგორ დაეწია ხრუშჩოვი ამერიკას.

წერილი მესამე.

შარშან ყამირ მიწებზე გეგმის შეუსრულებლობის გამო ბელიაევის მაცკევიჩით შეცვლამ საქმეს ვერ უშველა. ტვირთი ისევ იმავე ალაგას არის ჩაფლული. ხრუშჩოვი „ჭკვიანური“ თქმით ირკვევა, რომ იქ თურმე დიდი მნიშვნელობა აქვს როდის სთესენ და როდის იღებენ მოსავალს. თურმე საჭიროა ადამიანების და მანქანების მუდმივი კადრები. ისინი უნდა იქმნენ „გაწყვილებული“ ჩრდილოეთ კავკასია და უკრაინასთან, საიდანაც მოსავლის აღების შემდეგ თვითმფრნავებით უნდა გადაფრინონ ყაზახსტანში. უკეთესი შედეგების მისაღწევად თურმე საჭიროა საცხოვრებელი ბინების და კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესობა. აი ესეც შენი ქებული ყამირი მიწები! საერთოდ თურმე საჭიროა სულ ახალმეთოდებზე იქმნეს ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები. საჭირო ყოფილა მცოდნე (!) ხალხის გაგზავნა სამუშაოებზე და თურმე საჭირო ყოფილა ცრუ სწავლულების წინაამდეგ ბრძოლა, რომლებსაც მეცნიერები უჩაგრიათ - საბჭოთა კავშირში, რომლებიც თურმე აკეთებენ ცრუ ცდებს და ვინ მოსთვლის თუ რამდენი დაბრკოლებები და ხელის შეშლა ეღობება კიდევ, რათა ნიკიტა დაეწოს და გაასწროს ამერიკას?

აი კიდევ ერთი მაგალითი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ რუსულ პირობებში დიდ საფრთხედ გადაქცეული, რადგან ცეკის პლენუმზე ხრუშჩოვი შეეხო. ეს არის არყის ხდა. „ჩვენში ბევრი ხდის არაყს—აცხადებს ხრუშჩოვი,ათრობს ხალხს, რის გამოც ისინი სამუშაოს აცდენენ და მთვრალები დაეხეტებიან სოფლებში. არიან ახალგაზრდა ქალები, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობაში არ სურთ მუშაობა. არყის ხდით მეტს ვშოულობთო, ამბობენ ისინი—სამ ქვაბ არაყ გამოვხდი და 120 მანეთი გვაქვს დღეშიო, არყის მხდელები ცხოვრობენ, როგორც კაპიტალიატებიო. თუ ახალგაზრდა ქალები არყის ხდით ამდენს აკეთებენ მამაკაცებსო—აგრძელებს ხრუშჩოვი, სამხრეთიდან ციმბირში, ხაბაროვსკში თვითმფრინავებით ვაშლები მიაქვთ გასაყიდათ და ასეთი ერთი მგზავრობის მოგება კოლმეურნეობაში ასეულ სამუშაო დღებს უდრისო. აი კიდევ ერთი საბჭოთა სამოთხის დამახასიათებელი ნიმუშთაგანი.

საბჭოთა სამოთხეში—ოფიცერს, ნაომარსა და ნალვაწევს, რომელსაც დამსახურებული დასვენება ეკუთვნის—ხრუშჩოვი კოლმეურნეობაში აგზავნის, არა დირექტორად ან თავმჯდომარეთ, არც ბრიგადირათ, არამედ უბრალო მეღორედ. არ ვიცით რას ამბობს თავისთავზე ეს მეღორე, ყოფილი წითელი ოფიცერი, ხრუშჩოვი კი ძალიან კმაყოფილია და ამას კომუნისტური პარტიის პლეწუმის ტრიბუნიდან სიამაყით აცხადებს: რა უჭირს ოფიცერს მეღორეთ, მეც ხომ მწყემსი ვიყავი, ხომ ხედავთ ეხლა ვინა ვარო?

ხრუშჩოვის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თუ შემდეგ ციმბირში, ყაზახსტანში, უკრაინაში თუ საქართველოში წარმოთქმულ სიტყვებიდან აშკარად სჩანს რომ 1960 წელს მისი იმედები ვერ გამართლდა და ყველა დარგის სამეურნეო ნაწარმის დამზადება ჩაბარებაში ციფრები 1959 წელთან შედარებით ნაკლებია. გულთმისანი არა ვართ, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვსთქვად, რომ 1961 წელში კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ამის აშკარა ნიშნები უკვე არის და თვით ხრუშჩოვმაც ეს უკვე გაიგო, იგრძნო და დაინახა.

რა მდგომარეობაშია ამერიკის შეერთებულ შტატების დაწევა-გასწრების საქმე? რომელზედაც ისე რიხიანად ყვიროდა ხრუშჩოვი 1959 წლის დეკემბერში? მდგომარეობა ყოვლად ცუდი და უნუგეშოა. მაშასადამე ვინ ყოფილა ის ყოყოჩა და ბაქია, ვისაც მაშინ ხრუშჩოვი ემუქრებოდა და ჩვენ ამ წერილის დასაწყისში შევნიშნედ?

გ. აბულაძე.

ქართულ ემიგრაციაში.

ნიუ-იორკი.

სასტუმრო რუზველტის აღმოსავლეთის დარბაზში მაისის 27-ს ქართული სათვისტომოს თაოსნობით გადახდილ იქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის 44-ხე წლისთავი.

საზეიმო კრება გახსნა ბ-ნმა თ. ბაგრატიონმა, რომელმაც განაცხადა: „საქართველოს დამოუკიდებლობის 44-ხე წლისთავის დღესასწაულობა არა ნიშნავს, თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრივობის ისტორია 1918 წლის მაისის 26-ს დაიწყო. ჩვენ ქვეყანას აქვს სამიათას წლოვანი ისტორია და მას ჰქონდა დიდების პერიოდებიც„-ო. ბ-ნმა ბაგრატიონმა საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით „ოქროს ხანას“-ზე შეაჩერა. ამ დროს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო გავლენა გავრცელებული იყო შორეულ ქვეყნებშიაც კი და ეს ეპოქა ეკუთვნის დიდებულ ქალ-მეფეს—თამარს, რომლის გარდაცვალების 750 წელი სწორედ ეხლა სრულდება“-ო.

შემდეგ ბ-ნი თ. ბაგრატიონი საზოგადოებას უკითხავს სათვისტომოს მიერ მიღებულ მისალოც დეპეშებს და სიტყვას აკუთვნებს საზოგადოების თავმჯდომარე დოკ. ოთარ ზალდასტანიშვილს.

(მკითხველი „ქართული აზრის“ ამავე ნომერში გაეცნობა, როგორც დოკ. ზალდასტანიშვილის მოხსენების შინაარს, ისე მიღებული დეპეშების ერთ ნაწილს).

მრავალ ეროვნებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მისალოცი სიტყვების შემდეგ სათვისტომოს გამგეობა დამსწრეთ გაუმასპინძლდა კოკტეილით.

არგენტინა—ბუენოს-აირესი.

არგენტინაში წელს 26 მაისი ჩვეულებრივი საზეიმო სხდომებით, თუ საღამოთი არ გამართულა. ამას უმთავრესად ხელს უშლიდა ადგილობრივი პირობები: იმ ხანებში პოლიტიკური დაძაბულობა და საჯარო აქტების აღკრძალვა.

ამიტომ ქართველობა საერთო გამოსვლას მოერიდა. სამაგიეროთ აკაკი და თამარ პაპავას ოჯახში მოეწყო ამ საზეიმო დღის აღნიშვნა, რასაც ქართველების გარდა ზოგი უცხოელებიც დაესწრნენ.

ამას გარდა არგენტინის რადიოებმა (ექსელსიორ“ და „პორტენია“) გადასცეს 26 მაისის საგანგებო პროგრამა. შესაფერისის ცნობებით ჩვენ წარსულზე და ქართული მუსიკით.

მაიკ მიტტოს ხსოვნას.

23 თებერვლის დილა რიგიანად გათენებული არ იყო, როცა კანადის რადიოსადგურებმა უაწყეს მსმენელებს მაიკ მიტტოს გარდაცვალება. მაიკს მრავალი ნაცნობი, მეგობარი და ამხანაგი ჰყავდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მისი სახელი უცხო არ იყო სამთომადნო მრეწველობაში და მადნის მაძიებელთა წრეებში. მაგრამ ჩვენი გაზეთის მკითხველთა შორის ბევრს ალბათ არ ეცოდინება, რომ ამ გვარს და სახელს ატარებდა 67 წლის წინად უწერაში დაბადებული ქართველი მადნის მაძიებელი ნესტორ მეტრეველი.

ნესტორი 13 წლის იყო, როცა სახლი დასტოვა და ბედის საცდელად თბილისს მიაშურა. რამდენიმე წლის შემდეგ ნესტორი ჯარში გაიწვიეს და ყავლის მოხდის შემდეგ 1913 წელს იგი კანადაში ჩამოდის და გადასწყვეტს აქ დამკვიდრებას. უცხოეთში ცხოვრების წამოწყების სიძნელე ყველა ემიგრანტისათვის ცნობილია და ნესტორიც მის მრავალფეროვან ცხოვრებაში, ბევრ სიდუღჭირეს და დაბრკოლებას გადააწყდა. ჯერ იყო და ატლანტიკის სანაპიროდან წყნარი ოკეანეს სანაპიროზე მოუწია გამგზავრებამ. შემდეგ ენის შესწავლა მოუხდა, სამუშაო უნდა ეშოვა და ა. შ. ახლად ჩამოსულს ერთ ხანობას მზარეულობით გაჰქონდა თავი, შემდეგ ჭიდაობას მოკიდა ხელი. ბოლოს შავი კლდის ბურღვაში სცადა თავი. ბრიტანეთის კოლუმბიაში ეხლაც ახსოვთ განთქმული მბურღავი „კავკასიელი დათვი“, რომელმაც რამდენჯერმე ფალავნობა მოიპოვა თავის დარგში. მაგრამ უკეთესი მომავლის ძებნაში ნესტორი ამ ხელობას არ დაჯერდა და გადაწყვიტა მადნის ძებნა შეესწავლა და ამ პროფესიისათვის მოეკიდნა ხელი. მისმა ნიჭმა უნარმა, დაკვირვებამ, მონდომებამ და დაჟინებამ ახალგაზრდა ნესტორს მალე გაუთქვა სახელი. ოცდაათიანი წლების დასაწყისში ქართველი მადნის მაძიებელი ისევ აღმოსავლეთ კანადაშია და იქ აგრძელებს თავის საქმიანობას. ამ ეპოქას ეკუთვნის ნესტორის დამკვიდრება ქვებეკის პროვინციაში, იმ უსახელო ტერიტორიაზე, რომელსაც ჩვენმა თანამემამულემ ოქროს ხეობა (ვალ დ,ორ) დაარქვა. დღეს ვალ დ,ორის მოსახლეობა ათი ათას გადასცდა და ნესტორის აშენებული სახლი ქალაქის პირველი და უძველესია. ნესტორმა აღმოაჩინა ოქრო მდიდარი საბადოები ამ ხეობაში, ნესტორი იყო ვალდორის ოქროს მაღაროების წამომწყები და სულის ჩამდგმელი და მაიკ მიტტოს ამ ქალაქის მამობა მიანიჭეს.

ნესტორის მეუღლე, გერმანული წარმოშობის ამერიკელი მხარში ედგა მეუღლეს და ერთგულად უვლიდა ქმარსა და სამ პატარა ქართველს, რომლებსაც მშობლებმა აუგუსტი, ამელია და ნესტორი დაარქვეს. როცა ქ-ნი მეტრეველი გარდაიცვალა 1944 წელს. ნესტორს მოუხდა ბავშვებისთვის მამობისა და დედობის გაწევა.

ნესტორი ტიპიური ქართველი იყო. ხელგაშლილი, სტუმართმოყვარე, ტკბილი მოსაუბრე, რჩევის მიმცემი, დახმარების გამწევი და გულღია ადამიანი. იგი ენდობოდა ყველას უანგაროთ და ამან ბევრჯერ დააკარგვინა ნესტორს მწარე ოფლით მონაპოვარი საუნჯე. მაგრამ მისგან საყვედურს იშვიათად გაიგებდით. მატერიალური სიმდიდრე არ იყო მისი მიზანი. ნესტორს ოცნება იყო მიწის წიაღის საიდუმლოების გახსნა და მასში დამარხული საუნჯის მზის სხივებზე გამოტანა.

გასული წლის მაისში ექიმ ა. დვალთან ერთად ვალდორში ვესტუმრეთ მეტრეველებს. მამა და უფროსი შვილი ალასკაში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ნესტორი ყოჩაღათ გამოიყურებოდა და მისთვის ჩვეული სიდარბაისლით, მაგრამ ახალგაზრდული ენტუზიაზმით გველაპარაკა თავის პროექტებზე, იმ ადგილებზე, სადაც წიაღის დოვლათი მზის სინათლეზე გამოტანას ელოდებოდა. როგორც ყველა ქართველების თავმოყრის დროს, ნესტორის სახლშიც საუბარი აქართველოზე გადავიდა. გავიხსენეთ შორეული სამშობლო, ბავშობის წლები, განცდილი და ნახული. ნესტორმა გვიამბო მისი საყვარელი პოეტის აკაკის სტუმრობა უწერაში, მისი თვგადასავალი, მისი გეგმები. ჩვენ უამბეთ „ახალი“ ოცი წლის წინანდელი საქართველოს ამბავი... შუა ღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა სიტყვამ მოიტანა და არსენა ოძელაშვილი ვახსენეთ. ნესტორმა ძალიან ხმადაბლა მაგრამ ანაზდეული აღგზნებით ინატრა „არსენას ლექსის“ წაკითხვა. სექტემბრის შუა რიცხვებში ალასკიდან დაბრუნებულებს სამხრეთ კანადაში შევხვდი და ნესტორს თბილისიდან დედაჩემის გამოგზავნილი „არსენას ლექსი“ გადავეცი. უნდა გენახათ მის სახეზე გადაშლილი ღიმილი, მისი გაბრწყინვებული თვალები, მისი სიხარული, როცა წიგნი ხელში აიღო.

სამი თვის შემდეგ ნესტორს ისევ შევხვდი. ამ ჯერად ჩვენი თავშეყრის ადგილი იყო ჰამილტონის ერთ-ერთი საავადმყოფო. ნესტორი თავს კარგად ვერ გრძნობდა და მისმა პირადმა ექიმმა ა. დვალმა ავადმყოფი თანამემამულე დიაგნოზისთვის და სამკურნალოდ კლინიკაში მოათავსა. ნაახალწლევს ნესტორი თითქოს თავს უკეთ გრძნობდა და თავის კარმიდამოს დაუბრუნდა. მაგრამ ჩვენ, მისმა მახლობლებმა საიდუმლოთ ვიცოდით, რომ ნესტორის დღეები დათვლილი იყო: მედიცინა უძლური აღმოჩნდა მისი განკურნებისათვის. ხუთ კვირაში ნესტორი ისევ დაუბრუნდა ჰამილტონს. ამ ჯერად მას სამივე შვილი ეხლა და 17 დღის განმავლობაში უცხოეთში დაბადებულმა ქართველებმა ერთგულად უდარაჯეს უცხოეთში მომაკვდავი ქართველი მამის სარეცელს. 22 თებერვალს, 9 საათსა და 50 წუთზე ნესტორ მეტრეველმა სამუდამოთ დახუჭა თვალები...

კანადამ უყურადღებოთ არ დატოვა მაიკ მიტტოს გარდაცვალება. კანადის პრესის სააგენტოს ჰამილტონის ბიურომ ნეკროლოგი მოამზადა და გადააგზავნა კანადის ყოველ კუთხეში. ტორონტოს, მონტრეალის, კირკლანდ ლეიკის და სხვა ქალაქების გაზეთებმა სპეციალური სტატიები მიუძღვნეს მის ხსოვნას, დაბეჭდეს განსვენებულის სურათები. ქ. ტორონტოში, დაკრძალვის დღეს რჩეულმა საზოგადოებამ მოიყარა თავი მიცვალებულის პატივსაცემად და ისევე, როგორც კანადაში ჩამოსვლის პირველ დღეს, სიკვდილის შემდეგაც, ნესტორ მეტრეველმა გრძელი, 5 ათას კილომეტრიანი გზა განვლო ტორონტოდან პორტლანისკენ (ორიგონის შტატი), ვიდრე მიწას მიბარდებოდა მისი საყვარელი მეუღლის გვერდით.

ნესტორზე ალბათ კიდევ ბევრი დაიწერება, ბევრი გაიხსენებს მის სახელს, მის მოღვაწეობას, მის ნახელავს, მის ნიჭსა და უნარს მაგრამ თუ როდისმე ერთი ქვა გაითლება მის საფლავზე დასადგმელად, იმ ქვაზე არსენას ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი უნდა გამოიკვეთოს:

„აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა“.

გ. ლოლუა.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული აპრილის 2-ს, პარიზში გარდაიცვალა

მიხეილ ჩუბინიძე.

ღრმა თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებთ განსვენებულის ოჯახს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ მაისის 20-ს, ვაშინგტონში გარდაიცვალა

დავით სალირაშვილი.

თანაგრძნობასა და სამძიმარს უცხადებთ მის შვილებს.

საფრანგეთიდან იტყობინებიან, რომ ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა

დიანოზ ასათიანი.

რასაც ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
561 W. 141 St., N. Y. C.

ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.